საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 6 სექტემბერი, 2013 წელი.

№170 (7297)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჯორებით ბურთის გაფანა ყვეოა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ჩაესვენება თუ არა ამერიკის მზე?

5

ვინ იქნება 1 წლის პრემიერ-მინისტრის მემკვიდრე?

3

ბატონო ბიძინა! აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია!



პარლამენტი პრეზიდენტის „შესაზლუდად“ 160 კანონს მიიღებს!

4

9

აფხაზები ბათუმსა და თბილისს სტუმრობენ და ქართულ რესტორნებშიც დადიან

სადაზღვევო კომპანიები მართლა ვალებში ისრჩობიან?!..

6

ბრძოლას მთელი გუნდი იგებს

ალბათ, ბევრჯერ გსმენიათ, ზოგი წაგება მოგებას სჯობსო. გეთანხმებით, სადავო საკითხია, მაგრამ ევროპის ჩემპიონატზე ქართველ კალათბურთელთა გუშინდელი მარცხი ისეთ შემთხვევებს შეგვიძლია მივაწეროთ, როცა ხელმოცარულთა გასაკრიტიკებლად ძნელად თუ მოგიბრუნდება კაცს ენა.

საქართველო - ხორვატია 76:77

საქართველო: ცინცაძე – 25, ჰიკმანი – 20, სანიკიძე – 15, შერმადინი – 10, მარკოიშვილი – 4, ბურჯანაძე – 2 ქულა. ითამაშეს აგრეთვე ფაცაციამ, ცქიტიშვილმა და ლეჟავამ.

10

კეთილდღეობისკენ მიმავალი გზები

7

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ სანდოობა – ეჭვის ქვეშ

ცესკო საარჩევნო ადმინისტრაციისა და სამთავრობო დაწესებულებების ურთიერთობის შესახებ განცხადებას ავრცელებს

საარჩევნო ადმინისტრაციისა და სამთავრობო დაწესებულებების ურთიერთობის შესახებ ცესკო განცხადებას ავრცელებს. ცენტრალური საარჩევნო კომისია სიძნელეების თავიდან აცილების მიზნით აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებს მოუწოდებს, 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებული ღონისძიებები საარჩევნო ადმინისტრაციასთან კოორდინირებულად განახორციელონ. ცესკოს განცხადებას „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ.

„საარჩევნო ადმინისტრაცია ყველაფერს აკეთებს, რათა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები საერთაშორისო სტანდარტების სრული შესაბამისობით და საქართველოს კანონმდებლობის დაცვით წარიმართოს. აღსანიშნავია, რომ საარჩევნო პროცესის წარმართვა საარჩევნო ადმინისტრაციასთან ერთად სხვა სახელმწიფო დაწესებულებების აქტიურ ჩართულობას გულისხმობს. ყველა საქმიანობა – ამომრჩეველთა სიების ფორმირება, ადმინისტრაციული რესურსის არამართლზომიერ გამოყენებასთან ბრძოლა, საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა თუ სხვა, ადმინისტრაციისა და სხვადასხვა სამთავრობო უწყებების კოორდინირებული მოქმედებით უნდა განხორციელდეს.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია გარკვეული განმარტება გავაკეთოთ ბოლო დროს გაკეთებული რიგი განცხადებების შესახებ:

1. ამომრჩეველთა სია

საქართველოს პრემიერ-მინისტრის 4 სექტემბრის პრესკონფერენციაზე გაჟღერა მოსაზრებამ ამომრჩეველთა არსებულ სიებში მნიშვნელოვანი დარღვევების არსებობის შესახებ. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსი განცხადებები არ უწყობს ხელს საარჩევნო პროცესების მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას და არჩევნების ნორმალურად წარმართვას. ამავე დროს სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ საარჩევნო სიები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და მყარ საფუძველს ქმნის თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისთვის.

ამომრჩეველთა სიების ფორმირება ხდება სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულებების – იუსტიციის სამინისტროს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე. საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ხდება ამ მონაცემების გაერთიანება და საარჩევნო უბნების მიხედვით დაყოფა.

ბოლო სამი წლის განმავლობაში რეგულარულად ხორციელდება ამომრჩეველთა სიის მონიტორინგი დაინტერესებული მხარეების მიერ.

2010 წელს 11-მა პოლიტიკურმა პარტიამ 100-100 ათასი ლარის დაფინანსება მიიღო და უშუალოდ განახორციელა ამომრჩეველთა სიების გადამოწმება.

2012 წელს შეიქმნა ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია, რომელმაც „კარდაკარის„ პროგრამა განახორციელა და რომლის მიერ მოწოდებული სიებით იხელმძღვანელა საარჩევნო ადმინისტრაციამ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებზე. კომისიის მუშაობაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული პოლიტიკური პარტია და სადამკვირვებლო ორგანიზაცია.

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის ძალებით უახლოეს მომავალში, საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების დასრულებისთანავე, ვაპირებთ განვახორციელოთ „კარდაკარის„ პროგრამა, რომლის დროსაც ამომრჩევლებს სპეციალური საინფორმაციო ბარათები დაურიგდებათ და შესაძლებლობა ექნებათ უშუალო და აქტიური მონაწილეობა მიიღონ სიების დაზუსტების პროცესში. ეს არის ცესკოსა და იუსტიციის სამინისტროს ერთობლივი პროექტი, რომელიც გულისხმობს ამომრჩეველთა სიებში ცვლილებებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლას.

ამასთან, ცესკოში რეგისტრირებულ პოლიტიკურ პარტიებსა და სადამკვირვებლო ორგანიზაციებს შეუძლიათ მოითხოვონ და მიიღონ ამომრჩეველთა სიების საჯარო ვერსია და ნებისმიერი მეთოდით განახორციელონ მისი გადამოწმება.

აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ პოლიტიკოსებმა, მედიამ და სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებმა თავი უნდა შეიკავონ მტკიცებულებების გარეშე ამომრჩეველთა სიებში არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებზე საუბრისაგან. ეს ამკვიდრებს უსამართლობის განცდას და ეჭვის ქვეშ აყენებს საარჩევნო პროცესის სანდოობას.

2. განათლების სისტემა და ადმინისტრაციული რესურსების არამართლზომიერი გამოყენება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა 3 სექტემბერს გააკეთა განცხადება, სადაც განათლების სისტემის მუშაკებისთვის საარჩევნო კოდექსით დადგენილი შეზღუდვები განმარტა.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია მიესალმება აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა მცდელობას პრევენციული ღონისძიებები განახორციელონ ადმინისტრაციული რესურსების არამართლზომიერი გამოყენების წინააღმდეგ. სასურველია, ეს მცდელობები გარკვეულ კოორდინაციაში იყოს საარჩევნო ადმინისტრაციასთან, რათა თავიდან ავიცილოთ უარყოფითი შედეგები.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ზემოხსენებული განცხადების ის ნაწილი, რომლითაც, საუბნო საარჩევნო კომისიებში საქმიანობა თითქოსდა აკრძალულია საჯარო მოხელეებისათვის, არასწორად იქნა გაგებული პედაგოგთა ნაწილის მიერ და ზოგიერთმა მათგანმა თავისი კანდიდატურა მოხსნა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრობაზე გამოცხადებული კონკურსიდან. ამ ფაქტმა შეიძლება გარკვეული სიძნელეები შექმნას საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების დროს.

ასეთი სიძნელეების თავიდან აცილების მიზნით მოვუწოდებთ აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებს, 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებული ღონისძიებები საარჩევნო ადმინისტრაციასთან კოორდინირებულად განახორციელონ“, – ნათქვამია ცესკოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

◎ ალიან-ჩალიანი

რიჩარდ ნორლანდი საქართველოს მთავრობას მადლობას უხდის

მადლობა მინდა ვთქვა იმ განცხადებისათვის, რომელიც საქართველოს მთავრობამ გააკეთა სირიის კრიზისთან დაკავშირებით, – ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა.

– პრეზიდენტმა ობამამ გარკვევით განაცხადა, თუ რა სტადიაში ვიმყოფებით, როდესაც საქმე სირიას ეხება, ის არის ამერიკის მთავრობის სპიკერი. აგრეთვე, ჩვენ ველოდებით კონგრესის გადაწყვეტილებას, ასეთ საკითხებს ჩვენთან კონგრესი წყვეტს, მაგრამ მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა ვთქვა იმ განცხადების გამო, რომელიც საქართველოს მთავრობამ გააკეთა სირიის კრიზისთან დაკავშირებით. საქართველოს მთავრობამ გარკვევით თქვა, რომ ქიმიური იარაღის გამოყენება, ეს არის აღმაშფოთებელი შემთხვევა და სირიის ხელისუფლებამ პასუხი უნდა აგოს ჩადენილი დანაშაულისთვის, – განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა.

ეს განცხადება ამერიკის ელჩმა ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისში“ გააკეთა, სადაც ის სამეთაურო-საშტაბო სწავლებას „დიდგორი 2013“-ის მიმდინარეობას დაესწრო. ელჩი აცხადებს, რომ აღნიშნული სწავლება თავდაცვის სისტემისთვის უმნიშვნელოვანესია.

სერგეენკო თურქ ინვესტორთან დათმობებზე წასვლას არ აპირებს

ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს განცხადებით, თექინ ატიკთან სამომავლო თანამშრომლობაზე საუბარი არ გამოვა.

ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოსა და კომპანია „უნივერსალ ჰოსპიტალ გრუპის„ წარმომადგენელ თექინ ატიკს შორის საუბარი საქართველოში თურქეთის ელჩის თხოვნით შედგა.

შეხვედრის დროს, თექინ ატიკმა მინისტრს სამომავლო გეგმები გააცნო და აღნიშნა, რომ მის წარმომადგენელს, ნატალია მუჩაიძეს საქართველო-თურქეთის ურთიერთობების ორგანიზაციის წარმომადგენლად ნიშნავს.

თექინ ატიკის განცხადებასთან დაკავშირებით, საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ აღნიშნა, რომ იაშვილის სახელობის კლინიკაში განვითარებული მოვლენები არანაირ კავშირში არ არის საქართველო-თურქეთის ურთიერთობებთან.

თექინ ატიკმა მომხდართან დაკავშირებით, ჯანდაცვის მინისტრთან მოიბოდიშა და ისიც აღნიშნა, რომ კლინიკაში განვითარებული მოვლენების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია მცდარი და ფაბრიკაცია იყო.

როგორც ჯანდაცვის მინისტრთან შეხვედრისას თექინ ატიკმა აღნიშნა, სწორედ მინისტრზე იყო დამოკიდებელი სამომავლო ინვესტიციების განხორციელება.

– თქვენ არჩევანში თავისუფალი ხართ, გააკეთებთ თუ არა ინვესტიციებს საქართველოში, მაგრამ თქვენ პირველივე დღეებში დაუშვით მიუტევებელი შეცდომები და გადაიმტერეთ სამედიცინო პერსონალი, რითაც საფრთხე შეუქმენით ბავშვებისთვის სამედიცინო მომსახურების ჩატარებას, – აღნიშნა დავით სერგეენკომ.

თურქმა ინვესტორმა მინისტრს რწმუნებულების საბუთიც ვერ წარუდგინა და აღნიშნა, რომ ქართულ კანონმდებლობას ჯერ კარგად არ იცნობს, რათა პროცედურები თანმიმდევრულად დაიცვას.

თავის მხრივ, დავით სერგეენკომ გაკვირვება ვერ დამალა და აღნიშნა, რომ თუ ადამიანი საქართველოში 20 მილიონი დოლარის ინვესტიციას აპირებს, საქართველოს კანონმდებლობა რატომ არ უნდა იცოდეს.

ინტერპრესი

◎ აზრთა სხვადასხვაობა

შს სამინისტრო ყველა მოპოვებულ მასალას არ ანადგურებს

ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პირადი ცხოვრების ამსახველი ფაილების განადგურების პროცედურის დაწყებამდე განაცხადა.

მინისტრის ინფორმაციით, სამინისტროს არქივში არსებული 26 ათასი უკანონო ჩანაწერიდან უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითმა კომისიამ მხოლოდ პირადი ცხოვრების ამსახველი მასალა გამოყო.

– კომისიამ იმსჯელა, იყო აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ უმრავლესობამ და მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, განადგურდეს პირადი ცხოვრების ამსახველი მასალა. გავიარეთ კონსულტაცია უცხოელ ექსპერტებთან, მათ შორის თომას ჰამერბერგთან, გავიზიარეთ დასავლური ქვეყნების გამოცდილება და მივიღეთ გადაწყვეტილება პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის განადგურების შესახებ, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მინისტრის ინფორმაციით, პირადი ცხოვრების ამსახველი ფაილების განადგურებას კომისიის მხოლოდ ერთი წევრი კახა კახიშვილი ეწინააღმდეგებოდა.

შინაგან საქმეთა მინისტრის ინფორმაციით, ხსენებულ 26 ათას ფაილში არ შედის ის ვიდეო და აუდიომასალა, რომელიც სამინისტრომ სამეგრელოში აღმოაჩინა.

„მოდულის“ შენობაში პირადი ცხოვრების ამსახველი

ფარული ფოტო, ვიდეო და აუდიოჩანაწერები გაანადგურეს. უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისიის წევრებისა და მედიის წარმომადგენლების თანდასწრებით, აპარატ „შრედერის“ მეშვეობით 110 დისკი გაანადგურეს, რომელიც პირადი ცხოვრების ამსახველ 144 ფაილს შეიცავდა.

კომისიის წევრების ინფორმაციით, პირადი ცხოვრების ამსახველი მასალა დაახლოებით 181 საათისა და 30 წუთის ხანგრძლივობისაა.

პროცესი დოკუმენტურად ვიდეოგადაღების გზით დადასტურებულია. განადგურებამდე დისკები სპეციალურ დალუქულ კონტეინერში იყო მოთავსებული, რომელზეც ლუქი საჯაროდ მოიხსნა. პროცედურის დასრულების შემდეგ შედგა სპეციალური ოქმი, რომელსაც ხელი მოაწერა კომისიის ყველა წევრმა.

პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის განადგურების შემდეგ მედიის წარმომადგენლებს დაქუცმაცებული დისკების ნარჩენებიც აჩვენეს.

მასალების განადგურების პროცესს ესწრებოდნენ უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისიის თავმჯდომარე, შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, კომისიის წევრები – იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე მერაბ გაბინაშვილი, სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი თამარ ქალდანი, გაზეთ „რეზონანსის“ მთავარი რედაქტორი ლაშა ტუღუში, „საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელი კახაბერ კახიშვილი, არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური, სამუშაო ჯგუფის წევრები და მედიის წარმომადგენლები.

ᲕᲘᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ 1 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔ?

ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ! ᲐᲠᲩᲘᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲣᲭᲐᲛᲘᲐ!

ᲕᲘᲜ გახდება მომავალი პრემიერი? ამ კითხვაზე პასუხისგან კოალიციის წევრების უმეტესობა თავს იკავებს და აცხადებს, რომ ეს ნაადრევია და მომავალი პრემიერის კანდიდატურის განხილვა ბიძინა ივანიშვილთან არ მიმდინარეობს, თუმცა ვრცელდება ინფორმაცია, რომ შესაძლოა, ეს პოსტი შესთავაზონ ეკონომიკის მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს, ენერგეტიკის მინისტრს კახი კალაძეს, ან შს მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს.

ამ ეტაპზე, ბიძინა ივანიშვილი ირწმუნება, რომ ახალი პრემიერ-მინისტრი ძალიან საინტერესო პიროვნება იქნება, რომელიც წარმატებით გაართმევს თავს მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს. თუმცა მომავალი პრემიერ-მინისტრის გუნდში დარჩენისთვის **თეა წულუკიანს** ორი პირობა აქვს: ერთი — ახალ პრემიერს თავად აინტერესებდეს მასთან მუშაობა და, მეორე — თავად თეა წულუკიანის ინტერესი, რომ იმუშაოს იმ პრემიერ-მინისტრთან, ვინც იქნება ბიძინა ივანიშვილის შემცვლელი.

ის, რომ პრემიერის პოსტზე გიორგი კვირიკაშვილის კანდიდატურა მართლაც მოიაზრება, ამას საპარლამენტო უმრავლესობის წევრი **ელისო ჩაფიძეც** ადასტურებს. თუმცა იმასაც განმარტავს, რომ ჯერ კონსულტაციები არ დაწყებულა.

ვინ გახდება ბიძინა ივანიშვილის რჩეული და რამდენად რთული იქნება ღირსეული ახალი პრემიერის შერჩევა? მით უფრო, რომ მომავალ პრემიერს ბევრად მეტი შესაძლებლობა ექნება, ვიდრე თუნდაც მომავალ საპრეზიდენტო კანდიდატს.

პოლიტოლოგის **ვახტანგ ძაბირაძის** განმარტებით, მართალია, პრემიერის პოსტზე კალაძე-კვირიკაშვილის შესახებ აქტიურად საუბრობენ, მაგრამ, როგორც წესი, ივანიშვილი საკმაოდ მოულოდნელ სვლებს აკეთებს. ანალოგიური ვითარება იყო პრეზიდენტის კანდიდატურასთან დაკავშირებით და მაშინაც სრულიად მოულოდნელად, ისე, რომ არსად სახელდებოდა მარგველაშვილის კანდიდატურა, სწორედ მარგველაშვილი გახდა საპრეზიდენტო კანდიდატი.

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა, კალაძე-კვირიკაშვილს პრემიერის პოსტისთვის აუცილებელი რესურსი ჰქონდეთ, მაგრამ აქამდე მათ არ ჰქონიათ ამ რესურსის გამოვლენის საშუალება. პოლიტოლოგის თქმით, ამ ფუნქციის შესრულება უფრო ხელეწიფება ირაკლი ღარიბაშვილს, რომელიც, ასევე, სახელდება ამ თანამდებობაზე. მეტიც, სოსო ცინცაძის აზრით, ღარიბაშვილმა მენეჯერული რესურსი მეტ-ნაკლებად გამოავლინა, ამიტომ მას უფრო მეტი შანსი უნდა ჰქონდეს ამ პოსტზე. რაც შეეხება კვირიკაშვილ-კალაძის ტანდემს, პოლიტოლოგის აზრით, არც ეკონომიკაში, არც ენერგეტიკაში უკეთესობისკენ სვლა არ იგრძნობა.

ფილოსოფოს **ზაზა ფირალიშვილს** ეეჭვება, რომ პრემიერის პოსტი დაიკავოს კვირიკაშვილმა ან კალაძემ, რადგან პრემიერ-მინისტრის მიერ ამ თანამდებობაზე დასახელებული პიროვნება უნდა სარგებლობდეს საზოგადოების დიდი ნაწილის ნდობით და რაც მთავარია, ცნობადი უნდა იყოს.

„მიუხედავად ჩემი პატივისცემისა კვირიკაშვილისა და კალაძის მიმართ, ისინი დღეს არ სარგებლობენ ისეთი ურყევი ავტორიტეტით, რომ მათი დასახელება იოლი იყოს. ასეთი რამ შეიძლება მომხდარიყო უფრო მშვიდ ქვეყანაში, სადაც პოლიტიკური სტაბილურობაა. პრემიერ-მინისტრის ფიგურა უნდა იყოს ისეთი, რომელიც შეძლებს, შეინარჩუნოს ალიანსის მთლიანობა, „ქართული ოცნების“ მიმართ ნდობის მაღალი ხარისხი. ასევე, უნდა შეინარჩუნოს ის რეიტინგი მაინც, რომელიც დღეს „ქართულ ოცნებას“ გააჩნია“, — აცხადებს ზაზა ფირალიშვილი.

მისი თქმით, ასეთი პიროვნების მოძიება საკმაოდ რთულია, თუმცა ბატონი ბიძინა უკეთესად იცნობს თავის გარემოცვას და იმ ადამიანებსაც, რომლებსაც, ალბათ, ამ თანამდებობაზე განიხილავს.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **დემურ გიორხელიძე** მიიჩნევს, რომ ეკონომიკასთან კავშირის, განათლებისა და წესიერების მიხედვით, პრემიერ-მინისტრის თანამდებობას გიორგი კვირიკაშვილი იმსახურებს. მისი თქმით, კვირიკაშვილი ყალბი პროპაგანდისთვის არაფერს გააკეთებს.

„მე მას პარლამენტიდან ვიცნობ, ჩვენ ერთად ვიყავით პარლამენტის წევრები და ვიცი, რამდენად სერიოზული ადამიანია. მაშინ შედარებით ახალგაზრდა იყო, ამიტომ დღეს მისგან შეცდომები გამორიცხული იქნება. ის ფრთხილია, არ არის ზედმეტად მოლაპარაკე და არც - გარეგნულ ეფექტებზე აგებული, რაც მისი უდიდესი თვისებაა. მას შეუძლია, შესაბამისი გუნდი „აკრიფოს“. იმდენად მძიმე მდგომარეობაა საქართველოში და, მათ შორის ქართულ ეკონომიკაში, რომ აქ თანამდებობას დახარბებული კაცი არ უნდა მოვიდეს. კვირიკაშვილმა შესანიშნავად იცის, შედეგი თუ არ ექნება, მას ვერაფერი გადაარჩენს“, — აღნიშნავს დემურ გიორხელიძე და მიიჩნევს, რომ ნებისმიერი სხვა კანდიდატურა იმდენად დამძიმებული იქნება გვერდითი პოლიტიკური ზეწოლებისგან, რომ ეფექტურად ვერ იმუშავებს.

* * *

რაც შეეხება პრემიერობის სავარაუდო კანდიდატურებს, შეგახსენებთ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს ამავე სფეროში მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი ილინოისის უნივერსიტეტში, აშშ—ში. ის წლების მანძილზე სხვადასხვა ბანკში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა, მათ შორის, 2006 წლის თებერვლიდან 2011 წლის ოქტომბრამდე იყო „ქართუ ბანკში“, რომლის გენერალური დირექტორიც თავად გახლდათ.

2005-2006 წლებში გიორგი კვირიკაშვილს პირველი კომერციული ბანკის აღმასრულებელი საბჭოს მრჩევლის პოზიცია ეკავა, მანამდე კი იყო 1999 წლის მოწვევის პარლამენტის წევრი. პარლამენტარობამდე გიორგი კვირიკაშვილი მუშაობდა სახელმწიფო კანცელარიაში, ექსპორტ-იმპორტის ბანკსა და გაერთიანებულ ქართულ ბანკში.

პრემიერის პოსტზე შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ვინაობაც სახელდება. ღარიბაშვილი დაიბადა 1984 წლის 28 აპრილს სიღნაღში. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტი, შემდეგ სწავლა პარიზში, სორბონას უნივერსიტეტში გააგრძელა. საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, 2004 წლის გაზაფხულზე დაბრუნდა და მუშაობა საქველმოქმედო ფონდ „ქართუში“ ლოჯისტიკის დეპარტამენტის მენეჯერის ასისტენტად დაიწყო. 2005 წელს ბიძინა ივანიშვილის თანაშემწე და „ქართუს“ პრეზიდენტი გახდა.

რაც შეეხება ენერგეტიკის მინისტრს, ვიცე-პრემიერ კახა კალაძეს, იგი საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების ყოფილი კაპიტანი, ცხრა წლის მანძილზე საფეხბურთო კლუბ „მილანის“ წევრი გახლდათ. მილანში ჩარიცხვამდე იგი თბილისის „დინამოსა“ (1993-1997) და კიევის „დინამოში“ (1998-2001) თამაშობდა. 2001 წელს კალაძე გახდა ყველაზე ძვირადღირებული ქართველი ფეხბურთელი, მილანმა მის ტრანსფერში 16 მილიონი ევრო გადაიხადა. კალაძე რამდენჯერმე დაასახელეს წლის საუკეთესო ქართველ მოთამაშედ. მან სპორტული კარიერა 2012 წელს დაასრულა.

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲒᲝᲠᲒᲐᲫᲔ

◎ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲙᲝᲓᲔᲥᲡᲘ

ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲘᲓᲘᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲔᲚᲘ

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ **იმისა, რომ ახალი შრომის კოდექსი ივლისიდან ძალაშია, ბიზნეს წრეები მის იგნორირებას ცდილობენ. რამდენიმე მსგავსი ფაქტი დაფიქსირდა მეტალურგიული და სამშენებლო კომპანიების ნაწილში. არადა, მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც სამსახური აქვს (მაგრამ სამუშაო პირობებით მაინცდამაინც კმაყოფილი არ არის) მოუთმენლად მოელის ხელშესახებ ცვლილებას. გამოკითხულთა 43% მიიჩნევს, რომ ახალი კოდექსის პირობებში დასაქმებულთა მდგომარეობა გაუმჯობესდება.**

პროფკავშირების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილის ინფორმაციით, კომპანიები სამუშაო დროის დარღვევასა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებას თავს არიდებენ.

„რა თქმა უნდა, რეალურად მოქმედებს ახალი შრომის კოდექსი და მას საქართველოში მომუშავე ყველა კომპანია ცნობს, მაგრამ გარკვეული პუნქტების იგნორირება ხდება. მეტალურგიული კომპანიებში თანამშრომლებს პრობლემა აქვთ პროფკავშირების შექმნასთან დაკავშირებითაც.

გარდა ამისა, ისინი კოლექტიურ მოლაპარაკებებს თავს არიდებენ და დასაქმებულებთან მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომაზე უარს ამბობენ. ვერ წარმოუდგენიათ, რომ შეიძლება თანამშრომელმა მათ შრომის კოდექსის ფარგლებში მოქმედება მოსთხოვოს და მოლაპარაკების მაგიდასთან მათთან ერთად დასხდნენ, თუმცა ეს ძვირი დაუჯდებათ.

დარღვევები კონტრაქტების გაფორმებასთან დაკავშირებითაც არის. კერძოდ, დამსაქმებლები დასაქმებულებს შესაბამის ვადიან კონტრაქტებს არ უფორმებენ. მრავალი ისეთი შემთხვევაა, როდესაც ახალი შრომის კოდექსისგან გვერდის ავლით მოქმედებენ და დასაქმებულების უფლებებს უხეშად არღვევენ“, — აცხადებს პეტრიაშვილი.

ახალი შრომის კოდექსი ძალაში 2013 წლის 4 ივლისს შევიდა. კოდექსის შემუშავებაში სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები და პროფკავშირების წარმომადგენლები იყვნენ ჩართული. მისი პროექტი მრავალგზის შეიცვალა, რასაც ხან დამსაქმებლების, ხანაც დასაქმებულების უკმაყოფილება სდევდა.

საბოლოოდ, ცვლილება შეეხო სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, რაც 40 საათით განისაზღვრა, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი — 48 საათით. სხვა შემთხვევაში, დამქირავებელი ვალდებული იქნება თანამშრომელს ზეგანაკვეთური შრომისათვის შესაბამისი ანაზღაურება მისცეს.

საუბარი მიდიოდა უვადო ხელშეკრულებებზეც. საბოლოო შეთანხმების მიხედვით, თუ დასაქმებულს 5 წელზე მეტი სტაჟი აქვს, მისთვის უვადო ხელშეკრულება ახალ კოდექსზე ხელმოწერიდან ერთ წელიწადში შევა ვადაში, ხოლო თუ ნაკლები სტაჟი აქვს — 2 წელიწადში.

შრომის ახალ კოდექსისადმი მოქალაქეების დამოკიდებულების გამოსარკვევად „ეისითი რისერჩმა“ თბილისის მაცხოვრებლებში კვლევა ჩაატარა. სულ გამოიკითხა 407 ადამიანი. გამოკითხვისათვის კითხვა შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული — თქვენი აზრით, ახალი შრომის კოდექსი როგორ შეცვლის არსებულ სამუშაო პირობებს?

გამოკითხულთა 43% მიიჩნევს, რომ პირობები გაუმჯობესდება, 30% თვლის, რომ არაფერი შეიცვლება, მხოლოდ 5%-ის აზრით პირობები გაუარესდება და 23%-ს უჭირს პასუხის გაცემა.

დასაქმებულთა ნაწილი შიშობს, რომ ახალმა კოდექსმა, შესაძლოა, დამსაქმებლებს ახალი კადრების აყვანა გადააფიქრებინოს და იმაზეც დააფიქროს, უღირს თუ არა ასეულობით თანამშრომელს უვადო ხელშეკრულებები გაუფორმოს.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲐᲫᲠᲐᲫᲔ

◎ ᲐᲚᲘᲐᲜ-ᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲒᲔᲜᲛᲝᲓᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲒᲠᲐᲠᲣᲚ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲛ ᲒᲘᲒᲚᲐ ᲐᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲐᲠᲣᲚ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ ᲑᲘᲝᲡᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲔᲗᲘᲙᲔᲢᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲖᲔ ᲡᲐᲒᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲣᲚᲘᲡᲬᲛᲝᲑᲡ.

„ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠ ᲕᲐᲠᲗ ᲛᲝᲢᲘᲕᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲔᲜᲛᲝᲓᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲗ, ᲞᲘᲠᲘᲥᲘᲗ, ᲕᲐᲮᲐᲚᲘᲡᲔᲑᲗ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲮᲔᲚᲡ ᲣᲬᲧᲝᲑᲡ ᲔᲙᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲐᲓ ᲡᲣᲤᲗᲐ, ᲑᲘᲝᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲡ. ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲡᲔᲗᲘᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲙᲕᲔᲗᲝᲠᲐᲓ ᲐᲙᲠᲘᲭᲣᲚᲘ, ᲐᲜᲣ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐᲐ ის, რომ მომხმარებელი ინფორმირებული იყოს, თუკი პროდუქტი შეიცავს თუნდაც ერთ კომპონენტს, რომელიც შეიძლება გენმოდიფიცირებული იყოს. ასეთ პროდუქტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს შესაბამისი აღნიშვნა“, განაცხადა აგულაშვილმა პარლამენტში.

მისივე თქმით, ამ ეტაპზე არსებული ტექნიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, გენმოდიფიცირებული პროდუქციის იდენტიფიცირება შეუძლებელია, თუმცა სოფლის მეურნეობის სამინისტრო აქტიურად მუშაობს, რათა ქვეყანაში სათანადო ლაბორატორია შეიქმნას და ასეთი პროდუქტის იდენტიფიცირება შესაძლებელი გახდეს.

ᲘᲜᲢᲔᲠᲠᲔᲡᲘ

პარლამენტი პრეზიდენტის „შესაზღუდად“ 160 კანონს მიიღებს!

საკანონმდებლო ორგანო დაჩქარებული წესით, დაახლოებით, 160 კანონპროექტის მიღებას გეგმავს, რომლის გათვალისწინებითაც, პრემიერ-მინისტრის უფლებების გაზრდის ხარჯზე, საქართველოს მომავალი პრეზიდენტის უფლებამოსილების არეალი მნიშვნელოვანწილად იზღუდება.

ცვლილებების მომზადება განპირობებულია საქართველოს კონსტიტუციაში 2010 წელს შეტანილი ცვლილებებით, რომლებიც 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან ამოქმედდება.

პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განმარტებით, საკანონმდებლო ორგანოში ინიცირებულია პროექტების ნაწილი და რიგ კანონებში ტექნიკური სახის შესწორებები შედის, ზოგი კანონპროექტი კი, მსჯელობის საგანი გახდება.

უწყებაში წარდგენილი 61 ინიციატივიდან მსჯელობის საგანი „რეფერენდუმის შესახებ“ კანონპროექტის მეოთხე მუხლი გახდა, რომელიც პლებისციტის ჩატარების წესს ეხება.

კერძოდ, კანონის დღეს მოქმედი ნორმით, განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე, საზოგადოების აზრის გაგების მიზნით, ქვეყნის პირველი პირი პლებისციტს ნიშნავს. საკანონმდებლო წინადადებით კი, პრეზიდენტს ეს უფლებამოსილება ერთმევა და პლებისციტი მთავრობის ინიციატივით ინიშნება, ან საქართველოს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტის მოთხოვნით. შესაძლოა, კანონპროექტით განსაზღვრული ეს ახალი ნორმა შეიცვალოს, რადგან საკითხზე ამ დრომდე, კონსულტაციები მიმდინარეობს.

როგორც for.ge-ს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ვახტანგ ხმალაძემ და ოპოზიციონერმა დეპუტატმა პავლე კუბლაშვილმა განუცხადეს, საკითხის დაზუსტება მოხდება და გადაწყვეტილება ხვალ იქნება მიღებული.

რაც შეეხება სხვა კანონპროექტებით გათვალისწინებულ ცვლილებებს, წარდგენილი ინიციატივები არეგულირებს პრეზიდენტის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების პრემიერ-მინისტრის მიერ კონტრასიგნაციის საკითხს და კონტრასიგნაციის პრინციპის შემოღებასაც, რაც პრეზიდენტის მიერ გამოცემული დოკუმენტების პრემიერ-მინისტრის მიერ ხელმოწერას გულისხმობს.

კერძოდ, „ნორმატიული აქტების შესახებ“ პროექტით, პრეზიდენტის ბრძანებულება აღარ იქნება ერთობლივი ნორმატიული აქტის გამოცემის საფუძველი. შესაბამისად, ნორმატიული აქტების მიღება–გამოცემის უფლებამოსილების მქონე ორგანოებმა შეიძლება მიიღონ ერთობლივი ნორმატიული აქტი მხოლოდ საკანონმდებლო აქტითა და მთავრობის ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ამავე ცვლილებებით, სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას დებს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით.

აღსანიშნავია, რომ ცვლილებები იმპიჩმენტის პროცედურის აღძვრასაც ეხება და შესწორებები „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონში შედის. კერძოდ, დღეს მოქმედი კონსტიტუციური ნორმით, პარლამენტის მიერ იმპიჩმენტის პროცედურის აღძვრისას საკითხი განსახილველად გადაეცემა უზენაეს სასამართლოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს. კერძოდ, თუ საკითხის აღძვრის საფუძველი სისხლის სამართლის დანაშაულია, იგი უზენაეს სასამართლოს გადაეცემა, ხოლო კონსტიტუციის დარღვევის შემთხვევაში - საკონსტიტუციო სასამართლოს. ცვლილებებით კი, ორივე შემთხვევაში, საკითხს საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს, ანუ იმპიჩმენტის პროცედურის მონაწილე სუბიექტი უზენაესი სასამართლო აღარ არის.

ცვლილებები დიპლომატიურ საქმიანობასაც ეხება და საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად რეგულაციებსაც განსაზღვრავს. კერძოდ, „დიპლომატიური სამსახურების შესახებ“ პროექტით, დიპლომატიური სამსახურის აქტიურ რეზერვში ჩასარიცხი პირების თანანმდებობათა ნუსხის დამტკიცება პრემიერის კომპეტენციაში გადადის, თუმცა, დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელს თანანმდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს პრეზიდენტი მთავრობის წარდგინებით. ამასთან, დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელისთვის იმუნიტეტზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პრემიერი, ნაცვლად, პრეზიდენტისა.

ასევე, „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ პროექტით, პრეზიდენტის გადაწყვეტილება პირისთვის საქართველოს მოქალაქეობის მიღებისა და შეწყვეტის თაობაზე საჭიროებს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ პროექტით კი, საქართველოს ვიზების გაცემის, გაგრძელებისა და მოქმედების შეწყვეტის წესს, ასევე უცხოელთა საქართველოდან გაძევების წესს, პირისთვის ბინადრობის ნებართვის მინიჭებისა და მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის წესს განსაზღვრავს მთავრობა, ნაცვლად პრეზიდენტისა.

„საკონსულო საქმიანობის შესახებ“ ცვლილებებით, საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის შესახებ დებულება დამტკიცდება მთავრობის მიერ.

პარლამენტში ინიცირებული ცვლილებები შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის არეალსაც ეხება. კერძოდ, „სასაზღვრო პოლიტიკის შესახებ“ კანონპროექტის მიხედვით, სასაზღვრო პოლიციას პასუხისმგებლობა პრეზიდენტის ნაცვლად, მთავრობისა და შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე განესაზღვრება.

პროექტით, სასაზღვრო პოლიციის უფროსს თანანმდებობაზე პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტთან შეთანხმების გარეშე, შინაგან საქმეთა მინისტრის წარდგინებით ნიშნავს.

„საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ პროექტით კი, ნორმა უქმდება, რომლის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილების, სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ დებულება პრეზიდენტის მიერ მტკიცდება.

ამავე ცვლილებებით, სამსახურებრივი უსაფრთხოების სამსახურისგან სახელმწიფო უშიშროებისათვის მოსალოდნელი საფრთხის შესახებ შეტყობინებას პრეზიდენტის ნაცვლად პრემიერი იღებს და საერთაშორისო ღონისძიებათა უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მონაწილეობის თაობაზე გადაწყვეტილებასაც მთავრობის ხელმძღვანელი იღებს.

„კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ კანონპროექტით, ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაციისა და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაციის წესს პრეზიდენტის ნაცვლად, პრემიერი განსაზღვრავს და გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია სწორედ მთავრობის ხელმძღვანელს წარედგინება.

„სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ პროექტით კი, სასაზღვრო გამტარ პუნქტებს, ღია პორტების ნუსხას, სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო ზოლს პრეზიდენტის ნაცვლად პრემიერი ამტკიცებს.

ამავე ცვლილებებით, პრემიერის უფლებამოსილებას განეკუთვნება სასაზღვრო ზოლში გარკვეული სახის სამეურნეო საქმიანობის დაშვება და საშიშ ინფექციურ დაავადებათა გავრცელების საფრთხის შემთხვევაში კარანტინის ან მიმოსვლის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღოს.

„საზღვაო სივრცის შესახებ“ წინადადებით, უცხო ქვეყნის სამხედრო ხომალდისთვის საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში შესვლის ნებართვის გაცემის უფლებამოსილება პრეზიდენტის ნაცვლად პრემიერს ექნება.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, ცვლილებები ეკონომიკურ სფეროსაც ეხება. კერძოდ, „საგადასახადო კოდექსში“ შესატანი ცვლილებებით, გრანტის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის, იმპორტის გადასახადისგან გათვალისწინებული წესი განისაზღვრება პრემიერის მიერ, ნაცვლად პრეზიდენტისა.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ პროექტით, სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვრება მთავრობა ნაცვლად პრეზიდენტისა.

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ ცვლილებებით, თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი ქონების სახეობების ნუსხა მტკიცდება მთავრობის მიერ პრეზიდენტის ნაცვლად.

პარლამენტი ამ ცვლილებების დამტკიცებას სექტემბრის ბოლომდე გეგმავს.

თეონა მანაგაძე

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ნიჭიერი ადამიანები ნაძირალები არ ხდებიან. მათ ჰყოფნით იმის ნიჭი, რომ ნაძირალებთან საქმე არ დაიჭირონ.

● პრეზიდენტობის კანდიდატებო, ის ციკლონი, რომელზეც მთელი მეტეოსამსახურები ლაპარაკობდნენ, თქვენთვის მოვიდა და მას ქალის სახელი ერქვა.

● მივედი, ბიძინა დავინახე და წამოვედი! — განაცხადა იულიუს კეისარმა პრესკონფერენციის შემდეგ.

● ახლა სერიოზულად, ოცნებისტებო, მოქუჩდით!

ამ ინტერვიუში ბიძინამ კრიმინალი ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნასთან შეგუება შემოგვთავაზა თუ მომეჩვენა?! მა, არჩევნებამდე რომ გვპირდებოდა - მოგაშორებთო, მაშინ ცდებოდა, თუ ახლა?!

რა ვიცი, ირაკლი ალასანია ანათემას გადასცა ფაცებუკმა, ამერიკაში რომ ნაციონალები შეაქო, პირადად მე, ირაკლის ნათქვამიც გავიკვირვე და ბიძინასიც გამიკვირდა ახლა!

● ახალ ხელისუფლებას ბრალს ვდებ ჯალათების და კრიმინალების მფარველობაში.

მივმართავ მთავარ პროკურორს — ბატონო არჩილ, გთხოვთ, გაიღვიძოთ, გამოფხიზლდეთ და დამკითხოთ!!!

● დედამიწა მრგვალია.

სერიალი თურქულია.

პოლიცია გამჭვირვალეა.

● ციკლონიც მიშამ უნდა გახსნას?

● მივდივარ, არ მივდივარ — გვირილას ფურცლებზე მკითხაობს — ლიუბიტ ნე ლუბიტ, მე მგონი!

● ჩამოვუქროლებ თქვენს საქართველოს — განაცხადა ციკლონმა ....

ამოკრიბა **გია გაბრიჭიძემ**

◎ ალიან-ჩალიანი

„არტესი“ პრეზიდენტის რეზიდენციის მშენებლობას ჩამოაშორეს

კომპანია „არტესმა“ ათონელის ქუჩაზე, პრეზიდენტის რეზიდენციის რეკონსტრუქცია შესაძლოა ვერ დაასრულოს. როგორც „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში კომპანია „არტესის“ დამფუძნებელმა მალხაზ ალავიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მათ ინფრასტრუქტურის სამინისტროსგან შეიტყვეს, რომ პრეზიდენტის რეზიდენციის რეკონსტრუქციისთვის კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება უნდა გაწყვიტონ.

ალავიძესთვის აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზი უცნობია. ალავიძის თქმით, მისი კომპანია საქმის საჭიროებიდან გამომდინარე, ყველა მითითებულ სამუშაოებს ასრულებდა.

„არტესის“ დამფუძნებლისთვის ცნობილია, რომ მის კომპანიას სხვა კომპანიით ჩაანაცვლებენ, რომელმაც სამუშაოები 1 მაისისთვის უნდა დაასრულოს. კომპანია „არტესს“ კი ამ სამუშაოების შესრულება 1 ნოემბრისთვის ჰქონდა მითითებული.

როგორც ალავიძე აცხადებს, არასწორია მათი კომპანიის ისეთი კომპანიით ჩანაცვლება, რომელიც სამუშაოებს 1 მაისისთვის დაასრულებს. მისი თქმით, ეს კომპანიებს შორის დაპირსპირებას გამოიწვევს.

ინფრასტრუქტურის სამინისტრომ კომპანიას საბოლოო გადაწყვეტილება 10 დღის ვადაში უნდა აცნობოს. თუ კომპანიასთან სამინისტრო ხელშეკრულებას გაწყვეტს, მაშინ სიმართლის გარკვევას კომპანიის დამფუძნებელი სასამართლოს გზით შეეცდება.

მალხაზ ალავიძემ განმარტა, რომ კომპანიას აღებული აქვს მილიონნახევარი საბანკო გარანტია და უეცრად ხელშეკრულების გაწყვეტა, „არტესს“ დიდ ფინანსურ პრობლემებს შეუქმნის. გაურკვეველია ასევე აუნაზღაურდება თუ არა მუშებს შესრულებული სამუშაოებისათვის თანხა.

ინტერპრესი

◎ ვარაუდი

ჩასვენება თუ არა ამერიკის მზე?

სირიაში ამერიკა საბედისწერო გამოცდას აბარებს, რაც საქართველოში ვერ ჩააბარა.

გენიალური გერმანელი ფილოსოფოსი და კულტუროლოგი, ოსვალდ შპენგლერი წერდა უკვდავ თხზულებაში, „ევროპის მზის ჩასვენება“ (Der Untergang des Abendlandes): ყველა კულტურას აქვს აღმავლობის, სტაგნაციისა და „ჩასვენების“, ესე იგი თანდათანობითი კვდომის პერიოდები. ამა თუ იმ კულტურის კვდომა, მისი აზრით, მაშინ იწყება, როცა იგი ცივილიზაციად ტრანსფორმირდება. ანუ, ცნების თანამედროვე გაგებითა და „დიდი პირობითობით“, ზესახელმწიფოდ იქცევა.

ეს ნაშრომი მაშინ იწერებოდა, როდესაც მოაზროვნე ადამიანებისთვის ჯერ კიდევ არ იყო მკაფიოდ ნათელი უშუალო ბმა ცივილიზაციასა და მის ღირებულებათა გლობალურ გავრცელებას შორის. ანუ, რა კორელაცია აკავშირებს სახელმწიფოებრივ მდგრადობასა და მის საერთაშორისო პრესტიჟს.

ოსვალდ შპენგლერიდან ძალიან დიდი ხნის შემდეგ, პოლონური წარმომავლობის ამერიკელმა „გეოპოლიტოლოგმა“ ზბიგნევ ბჟეზინსკიმ გამოაქვეყნა პოპულარული წიგნი „დიდი საჭადრაკო დაფა“. შპენგლერთან ბჟეზინსკის ხსენება, რა თქმა უნდა, სირცხვილია. მაგრამ ეს დისკურსი ერთი რამითაა საინტერესო: როდესაც **ზესახლემწიფოებრიობის ნიშნებს ჩამოთვლის, ბჟეზინსკი ასახელებს: სამხედრო ძლევამოსილებას, ეკონომიკურ სიძლიერეს, ტექნოლოგიურ ნოვატორობას და (რაც ყველაზე ნიშანდობლივია) „მიმზიდველობას“ დანარჩენო მსოფლიოსათვის.** ბზეჟინსკი ვერ მიხვდა, შპენგლერისათვის კი მეტისმეტად ადრე იყო, რომ იგივე ცნება ერთი „სნობური“ ტერმინით გამოიხატება: „პრესტიჟი!!!“.

ამერიკა — ამერიკაა მანამ, სანამ საჯაროდ არ დაამცირებენ და არ „დააჩმორებენ“. ამერიკა მხოლოდ იმ შემთხვევაში დარჩება ამერიკად, თუ შეძლებს იმოქმედოს მსოფლიო ასპარეზზე საკუთარი ღირებულებების და ვალდებულებების შესაბამისად! კიპლინგისეული მონადირე მგლისა არ იყოს, საკმარისია ერთხელ შეცდეს, ერთხელ „ააცილოს“ და...

ჩვენში ბევრს ჰგონია, თითქოს 2008 წელი ამერიკისთვის ბევრს არაფერს ნიშნავდა. ანუ დიდი ვერაფერი ზიანი მიიღო იმით, რომ მის მოკავშირეს რუსეთმა ტერიტორიები წაართვა, დაბომბა, დაამარცხა, გაანადგურა, ამერიკამ კი ვერაფერი იღონა. არადა, „ხუთდღიანი ომის“ დასრულებისთანავე, ბენ ლადენმა გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც არა მხოლოდ ამერიკის მოძულეთ, არამედ მოკავშირეებსაც მიმართავდა: „ხომ ხედავთ ამერიკამ თავისი მოკავშირე რა ადვილად მიატოვა, თქვენც იგივე ბედი გელითო“.

არ იმჩნევენ ამერიკელები, თორემ საქართველოსთან დაკავშირებული ეპიზოდი მათთვის, სანამდვილეში, ძალიან მწარე დარტყმა იყო. შესაძლოა პირველად მაშინ დარწმუნდნენ, რაოდენი უფსკრულია პრაგმატიზმსა და ზესახელმწიფოებრიობის სტატუსს შორის. ფართოდ გავრცელებული ბრიყვული შეხედულების მიუხედავად, ზესახელმწიფო პრაგმატული ვერ იქნება, იგი შეიძლება მხოლოდ „იდეალისტური“ იყოს! ანუ, „უკანმოუხედავად“ მოქმედებდეს საკუთარი ღირებულებებისა და ინტერესების შესაბამისად.

მოსწონს ვინმეს თუ არა, 2008 წელს რუსეთმა დაამტკიცა, რომ ამ თვალსაზრისით, დიახაც არის ზესახელმწიფო, რაკი იმოქმედა და თავისი გაიტანა მარტომ, საკუთარი ღირებულებებისა და ინტერესების მიხედვით ისე, რომ არავის არანაირი ყურადღება არ მიაქცია და, რაც მთავარია, საპასუხოდ ვერავინ ყურებზე ხახვიც ვერ დააჭრა: ვერც ამერიკამ მათ შორის.

სულ სხვა საკითხია, ქართველებმა რატომ „მოვიწყეთ“ ისე საქმე ბოლო 25 წლის განმავლობაში, რომ სწორედ ჩვენ გავხდით კრემლის გლობალური პრესტიჟის აღდგენის პოლიგონი.

როგორ იქცევა ამერიკა სირიაში? აშკარად ყოყმანობს, „დაარტყას“ თუ არა ასადს, ვინც 1400 ადამიანი, მათ შორის 400 ბავშვი ნერვულ-პარალიტური გაზით დახოცა და ამით პირდაპირ მიაფურთხა ამერიკას, რაკი ვაშინგტონი სულ აფრთხილებდა: ქიმიური იარაღის გამოყენება „წითელ ზოლად“ იქცევაო.

ამერიკა აქ უპატიებელ სისუსტეს, თანაც სისტემურ სისუსტეს ავლენს: ეხვეწება სხვებს, მხარი დაუჭირონ (რუსეთი არავის არაფერს ეხვეწებოდა 2008 წელს), ხოლო ბრიტანეთი ამ მხარდაჭერაზე უარს ამბობს. ამასობაში პუტინი აშკარად დასცინის: „ბაშარ ალ ასადი ქიმიურ იარაღს რატომ გამოიყენებდა, როცა მთელი ქვეყნის მასშტაბით უტევს მეამბოხეებსო“. არადა, სინამდვილეში, სირიის დიქტატორი ბაღდადის შემოგარენშიც ვერ ახერხებდა ჩვეულებრივი იარაღით მათ საბოლოოდ დამარცხებას.

ამერიკამ ეს ომი თუ წააგო, სიტყვა ვერ შეასრულა, მის იმედად მყოფნი თუ კვლავ მიატოვა (როგორც საქართველოში), ან სიმბოლური დარტყმებით შემოიფარგლა, მის პრესტიჟს, ესე იგი ზესახელმწიფოებრიობას უკვე ვეღარაფერი გადაარჩენს. სიმბოლურ დარტყმებს სჯობს საერთოდ არ დაარტყას.

რამდენიც არ უნდა იკაკანონ „სასარგებლო იდიოტებმა“, რომ „ჩარევა არ შეიძლება“ და „მშვიდობა სჯობია ომს“, ამერიკა ზესახელმწიფო მხოლოდ იმიტომ იყო, რომ მოქმედებდა დიდი რონალდ რეიგანის მაქსიმით: „არსებობს მშვიდობაზე დიდი ღირებულებები!“. ესე იგი, მან უნდა აირჩიოს, რა ურჩევნია: მშვიდობა თუ ზესახელმწიფოსა და მსოფლიო ლიდერის სტატუსი!

ასადის საბოლოო გამარჯვება (ანუ მის მიერ ხელისუფლების შენარჩუნება) ამერიკის დასასრულის დასაწყისი გახდება და „მშვიდობისმოყვარე ამერიკელებს“ ილუზიები ნუ ექნებათ: თუ მათ ქვეყანას სამსოფლიოდ ისევ მოჭრიან თავს და ამოსვრიან ტალახში, ის ვეღარ უშველით, რამაც საქართველოს შემთხვევაში უშველათ, როცა ისეთი სახე მიიღეს და შთაბეჭდილება შექმნეს, თითქოს არც არაფერი მომხდარა და მათ არ შეხებიათ.

ღირსების დაკარგვის შემთხვევაში, სულ მალე დაჭკნება, დაკარგავს ელვარებას და მიმზიდველობას ყველაფერი, რასაც ამერიკის ძლევამოსილება ეყრდნობოდა გასული ასი წლის მანძილზე: დოლარიდან — ამერიკულ კულტურამდე!

ამერიკული ცივილიზაცია სწორედაც ღირსებასა და „ოცნების შეუვალობას“ ეფუძნებოდა. ამის გარეშე იგი დაკნინდება და ისტორიულად მცირე ვადაში გადაგვარდება. ისტორიკოსები კი შემდეგ აუცილებლად შენიშნავენ, რომ ამერიკული ცივილიზაცის დამხობის პროცესი სულ პატარა, თითქმის შეუმჩნეველი მარცხით დაიწყო, რომელსაც მაშინ ყურადღება არავინ მიაქცია: 2008 წლის 12 აგვისტოს.

ნიკა იმნაიშვილი,
ჯი-ეიჩ-ენი

◎ არის წინადადება

რა ვაკეთოთ?

საკაკაშვილის და მისი შეიარაღებული მხარდამჭერების მიერ 9 წლის პერიოდში სოციალურად, ეკონომიკურად, კულტურულად და პოლიტიკურად გაპარტახებულ ქვეყანაში, რის მეოხებითაც რუსეთმა საქართველოს ტერიტორიის 20% მიიტაცა, ხოლო აჭარის ხავერდოვან მიტაცებას თურქეთი ეწევა, კიდევ ერთი ეთნიკური კონფლიქტის კერა საბჭოთა რუსეთის იმპერიის მიერ გადასასლებული თურქების მესხეთ-ჯავახეთში ჩამოსასლებით უნდა შევქნათ?! რა დროს „რეინტეგრანტი“ რესპუბლიკელების მიერ ინიცირებული სომხური ენისათვის რეგიონული სტატუსის მინიჭებაზეა საუბარი, როდესაც საქართველო თვალსა და ხელს შუა გვეცლება?!

თუ ევროპას და ამერიკას ჩვენთვის გული შესტკივა, რაშიც დიდი ეჭვი მეპარება, ჯერ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში ხელი შეგვიწყოს, საკაკაშვილის და ბენდუქიძის ტიპის სამშობლოს მოღალატეების მშვიდობიან მოშორებაში და ქვეყნის დალაგებაში მოგვეხმაროს.

პირიქით კი გამოდის: ევროპა კი არ გვეხმარება, არამედ რეგიონული კონფლიქტების გაღრმავების პროვოცირებას უწყობს ხელს, ხოლო ამერიკა სააკაშვილის და მისი ბანდის გადასარჩენად „კოჰაბიტაციის“ შემოგდებული ლოზუნგით საქართველოში ნებისმიერი ქვეყნისათვის დამანგრეველი დაუსჯელობის სინდრომის დამკვიდრებას ხელს უწყობს. ესეც თქვენი ევროპა და ამერიკა. საქართველოში დესტაბილიზაცია რუსეთსაც ხომ აძლევს ხელს.

მეორე ალტერნატიულ გზას არავინ გვთავაზობს. აბა დაუკვირდით, პრესაში და სატელევიზიო სივრცეში ჭია-ჭუა საკითხებზე რა ბაკქანალია არის ატეხილი. ჟურნალისტების თითქმის მთელი არმია ორლობის ჭორიკნობით არის დაკავებული: ამან რა თქვა და იმან რა უპაუხა, ამან რა ქნა და იმან საპასუხოდ რა მოიმოქმედა, ვინ დაიჭირეს და ვინ არ დაიჭირეს და ა.შ. ამ მიმართებით თეა სიჭინავას გადაცემები ამ ბაკქანალიის სწორუპოვარი ნიმუშია. ოპონენტებს შორის კინკლაობის წახალისება გახდა ჟურნალისტის საქმიანობის უმთავრესი მიმართულება. ამ „სიკეთისგან“ არც პარლამენტია თავისუფალი.

პოლიტიკოსები და ექპერტები მხოლოდ იმას აღნუსხავენ **„რა არის“**, არც ერთი მათგანი არ საუბრობს იმაზე **„რა უნდა იყოს“**, რათა არ იყოს ის, რაც არის. აშკარაა ნორმატიული აზროვნების სრული დეფიციტი, უფრო მეტი, დეგრადაცია. მათ შორის გამონაკლისი მხოლოდ თეა წულუკიანი და მისი უახლოესი გუნდია. „არსის“ სივრცეში ჩამწყვდეულ ერს მომავალი არ აქვს. ჩვენ არაფერი გვეშველება, თუ **„ჯერარსობრივ“** აზროვნებაზე არ გადავედით.

საქართველოს ტრაგიკული მდგომარეობის კონსტატაცია არ კმარა. საჭიროა ცივილიზებული კაცობრიობის მიერ საუკუნეების მანძილზე დაგროვილ გამოცდილებაზე დამყარებული პრინციპებისა და ნორმების გამოყენების მეთოდებზე ვიპაექროთ, რადგან „აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა“. სიტყვის თავისუფლება, თუ ის მხოლოდ სუბიექტურ აზრზეა დამყარებული და არ ითვალისწინებს კაცობრიობის მიერ საუკუნეების მანძილზე დაგროვილ გამოცდილებაზე დამყარებულ საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, ქვეყანას **ბნელ ღამეში შავკანიანთა ბრძოლას** დაამსგავსებს, ხოლო ინდივიდებს შიზოფრენიის ფონზე პარანოიკებად აქცევს, რისი კლასიკური ნიმუში თვითმარქვია პრეზიდენტია.

გთავაზობთ, კაცობრიობის მიერ საუკუნეების მანძილზე დაგროვილ გამოცდილებაზე დამყარებულ საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების გამოყენების პრაქტიკულ მოდელს.

ცნობილი ნორვეგიელი მეცნიერი და პრაქტიკოსი ტორსტაინ ეჩკოვი თავდაუზოგავად ებრძოდა მცირე ერების ნატოში და ევროკავშირში გაერთიანებას, ხოლო მსოფლიოს საქმეებში ამერიკის დომინანტურ როლს მტკიცედ გმობდა. მან განაცხადა: „მე ხელს ვუწყობ ნორვეგიელი ხალხის საყოველთაოდ აღიარებულ დამოუკიდებლობას, თვითგანსაზღვრას და სუვერენიტეტს. მე ჩემს თავს როგორც პაციფისტს არ განვიხილავ, მაგრამ მე განუხრელი ანტიმილიტარისტი ვარ.“

რა იდეალური ჯარიც არ უნდა შევქმნათ, რუსეთისაგან მიტაცებულ სოხუმსა და ცხინვალს ვერ დავიბრუნებთ, თურქეთის მხრიდან აჭარის და სამცხე-ჯავახეთის ხავერდოვან მითვისებას წინ ვერ აღვუდგებით, სომხეთის მოსალოდნელ გააქტიურებას ვერ შევეწინააღმდეგებით, რადგან მას ამერიკაში ძლიერი პოლიტიკური და ეკონომიკური ლობი ჰყავს. ანტიტერორისტების არმიის ჩამოყალიბება საქართველოს ისლამურ სამყაროს დაუპირიპირებს და ქვეყანას ტერორისტების ობიექტად აქცევს. ისრაელს პატრონი ჰყავს, ჩვენ კი „უპატრონოები“ ვართ.

ასეთ პირობებში, ყველა „უპატრონო“ მცირე ერ-სახელმწიფოს, მათ შორის ქართული ერ-სახელმწიფოს გადარჩენის გზა სხვა „უპატრონო“ ერ-სახელმწიფოებთან კონსოლიდაციაა, რადგან მსოფლიოს მართავს გაეროს უშიშროების 5 მუდმივი დიდი ერ-სახელმწიფო. ამიტომ ჩვენი საგარეო ვექტორი გაეროს გენერალური ასამბლეის დონეზე უნდა გადავიყვანოთ, სადაც დიდ უმრავლესობას „უპატრონო“ ერ-სახელმწიფოები წარმოადგენენ.

მაგალითად, სოხუმისა და ცხინვალის რაიონებში ლტოლვილთა დაბრუნების მოტივით გაეროს გენერალური ასამბლეის წინაშე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2009 წლის 28 სექტემბრის რეზოლუციის ამოქმედების საკითხს რატომ არ ვიყენებთ? ამ დროს: **„ევროპის საპარლამენტო ასამბლეა თვლის, რომ ახალი სამშვიდობო ფორმატის შექმნასა და კონფლიქტურ რეგიონებში მშვიდობის მხარდასაჭერად სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს სტაბილურობისა და უშიშროებისათვის, და ამ რეგიონების სტატუსთან დაკავშირებული არ შეიძლება იყოს“.**

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წესდების თანახმად, ლტოლვილთა დაბრუნების საკითხი მხოლოდ გაეროს გენერალური ასამბლეის კომპეტენციაა, რადგან ასეთი არა პოლიტიკური, არამედ ჰუმანიტარული და სოციალური საკითხია. სოხუმისა და ცხინვალის რაიონებში ლტოლვილთა დაბრუნება ხომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის აღდგენის გარანტიაა. ამას ხომ არა მე, არამედ ორი აკადემიკოსი და 52 პროფესორი 2004 წლიდან ვითხოვთ?!

რა საღათას ძილმა შეგიპყროთ?

ბიძინა სავანელი,
საერთაშორისო სამართლის ექსპერტი, სამართლის დოქტორი, პროფესორი

◎ განსჯა

სადაზღვევო კომპანიები მართლა ვალებში ისრჩობიან?!.

კერძო სადაზღვევო კომპანიები რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ. სხვათა შორის, სპეციალისტები წინასწარმეტყველებდნენ კიდეც, რომ კლინიკების აშენებისა თუ ხელისუფლების მიერ დაკისრებული იძულებითი ვალდებულებების გამო, უახლოეს მომავალში სადაზღვევო სექტორი ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. დღეს კი გვინდა თუ არა, სადაზღვევო სექტორის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას. ამ ეტაპზე ჯანდაცვის სამინისტრო ცდილობს სადაზღვევო კომპანიებთან ერთად გამოსავალი გამოძებნოს. როგორც გამოიკვეთა, არ არსებობს ქვეყანაში სადაზღვევო კომპანია, რომელსაც ფინანსური პრობლემები არა აქვს, ხოლო რამდენიმე კომპანია სულაც გაკოტრების პირასაა.

ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეევიჩოს განცხადებით, განსაკუთრებული პრობლემები არსებობს სადაზღვევო კომპანია „არქიმედეს გლობალ ჯორჯიაში“, „ალფაში“ და კლინიკების ქსელის მფლობელ კომპანია „ადითში“. „არქიმედეს“ 12 მილიონამდე დავალიანება აქვს, თუმცა როგორც მინისტრი ამბობს, საგანგაშო არაფერია და ყველაფერი გამოსწორებადია.

ცნობილია, რომ სადაზღვევო კომპანია „ალფას“ პრობლემების გამო, საერთოდ სურს სახელმწიფო პროგრამის დატოვება. „არქიმედეს გლობალ ჯორჯიაში“ კი იძულებითი ადმინისტრატორია შესული.

კომპანიის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, „არქიმედეს გლობალი“ 2007 წელს იარონ ინბარმა ჩამოაყალიბა. ინვესტიციების პირველი ეტაპის შედეგად ჩამოყალიბდა „ვიოლა“ ჯგუფი. ლეუმი პარტნიორები და შუკი მადანესი დამფუძნებელ ინვესტორთა შორის არიან ისრაელიდან და სხვა ქვეყნებიდან. „არქიმედე“ ფლობს სამ სადაზღვევო კომპანიას, ყაზახეთში, საბერძნეთსა და საქართველოში. სადაზღვევო საქმიანობასთან ერთად კომპანია აქტიურად მოღვაწეობს ჯანდაცვის მომსახურების სფეროშიც. კომპანიის წმინდა შემოსავალმა 2010 წელს 20 მილიონი აშშ დოლარზე მეტი შეადგინა. „არქიმედე“ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში საქმიანობის გაფართოებას გეგმავს. ამ მიზნით კომპანია კაპიტალის გაზრდას გეგმავს.

ამავე ინფორმაციის თანახმად, 2011 წელს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი), 2-მილიონიანი ინვესტიცია განახორციელა საქართველოში მისი შვილეული კომპანიის „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ მეშვეობით, თავისი სადაზღვევო ბიზნესის განვითარებისა და სამედიცინო კლინიკების გასახსნელად.

ინვესტორებისა და ინვესტიციების შესახებ ბოლო ინფორმაცია „არქიმედეს ჯგუფის“ 17%-იანი წილის გასხვისებას ეხება, რის სანაცვლოდაც ინვესტორმა DEG (Deutche Investitions - und Entwicklungsgesellschaft mbh) 6 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა.

რაც შეეხება კომპანიის წილებს, ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, „არქიმედეს ჯგუფის“ მაჟორიტარული წილის მფლობელი „არქიმედეს გლობალია“ და მისი წილი დაახლოებით 65%-ია, 17%-ზე მეტს კი კომპანიაში საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) ფლობს. კომპანიაში მიიჩნევენ, რომ მიზიდული ინვესტიცია ხელს შეუწყობს „არქიმედეს გლობალის“ შვილეული კომპანიის „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ გეგმების გაფართოებას, ჯანმრთელობის დაზღვევისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდას საქართველოში. აღსანიშნავია, რომ DEG, „თიბისი ბანკის“ 11,32%-იანი წილის მფლობელია.

ამ ისტორიის მქონე კომპანიას პრობლემები არ უნდა შექმნოდა და ფინანსური რესურსების მოზიდვაც არ უნდა გასჭირვებოდა, თუმცა, როგორც ჩანს, სააკაშვილის ხელისუფლების მიერ გაცემულმა ბრძანებებმა, რომლის შესასრულებლადაც კომპანიებს ფულადი სახსრების სხვადასხვა მიმართულებით გადასროლა მოუხდათ, ისინი კრიზისულ მდგომარეობაში ჩააყენა. სხვაგვარად ძნელია ახსნათ, როგორ დაუგროვდა კომპანიას ამდენი ვალი.

პრობლემები, ალბათ, თანდათანობით თუ გროვდებოდა, თუმცა ამის შესახებ მხოლოდ ბოლო პერიოდში გახდა ცნობილი – ზედამხედველის ფუნქციას ადრე ეროვნული ბანკი ასრულებდა, აპრილში მომხდარი საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად კი, დაახლოებით, თვენახევრის წინ, ახალმა ზედამხედველობის სამსახურმა დაიწყო საქმიანობა.

როგორც სადაზღვევო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ლაშა ნიკოლაძე განმარტავს, „ექვსი თვის შედეგებს რომ გავუკეთეთ ანალიზი, აღმოჩნდა, რომ „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ ფინანსური პარამეტრები მრავალ კომპონენტში ჰქონდა დარღვეული. საუბარია იმ კომპონენტებზე, რაც მათ სავალდებულო წესით უნდა ჰქონოდათ შესრულებული. ჩვენ წერილობით მივმართეთ „არქიმედეს“ მენეჯმენტს და ვთხოვეთ, რომ რეაბილიტაციის გეგმა წერილობითი ფორმით შემოეთავაზებინათ 5 სამუშაო დღის ვადაში“.

ნიკოლაძეს თქმით, აუცილებელი იყო სასწრაფო გეგმა, რადგან პარალელურად, შეიძლებოდა კითხვის ნიშნის ქვეშ დამდგარიყო ის ვალდებულებები, რაც მას აღებული ჰქონდა – კომპანიის ბიზნესის 95%-ს სახელმწიფო პროექტი, ანუ სოციალური დაზღვევა წარმოადგენს. სიტუაციის შესახებ პარალელურად ეცნობა უწყებათაშორის კომისიასაც, რომელიც სოციალური ტიპის დაზღვევების მონიტორინგს აწარმოებს.

„ნ სამუშაო დღის შემდეგ მართლაც მივიღეთ წერილი „არქიმედეს გლობალ ჯორჯიადან“, წერილის ლაიტმოტივი იყო, რომ ახლა ზოგადი სტატისტიკა უკვე კარგი გვაქვს და გარკვეული პერიოდის განმავლობაში სტაბილურები გავხდებით, მაგრამ ეს არის აბსოლუტურად არამყარი წერილი, ჩვენ მოველოდით, რომ დასახელებული იქნებოდა თარიღი და კონკრეტული წყარო, რის საფუძველზეც მათი ფინანსური სტაბილურობა უზრუნველყოფილი იქნებოდა. ასეთი წყარო შეიძლება იყოს ინვესტორის, ან საბანკო სექტორიდან გაცემული მყარი გარანტია, ამასთან მითითებული უნდა ყოფილიყო ზუსტი თარიღი - ეს აუცილებელია, როდესაც სახელმწიფო პროექტის შესრულებაზეა ლაპარაკი და არა ზოგადად, ნებაყოფლობითი დაზღვევის ფრაგმენტებზე. სწორედ ამიტომ, საჭიროდ ჩავთვალეთ იძულებითი ადმინისტრაციის განხორციელება. ეს გულისხმობს იძულებითი ადმინისტრატორის შესვლას, როცა მენეჯმენტი ფუნქციონირებას წყვეტს და ყველა ფინანსურ ოპერაციას იძულებითი ადმინისტრატორი ახორციელებს. მიუხედავად იმისა, რომ დროებით მმართველს 2-თვიანი ვადა აქვს, მეორე დღესვე, როცა სიტუაცია გამოსწორდება, კომპანიიდან გამოვალთ“, – განაცხადა ნიკოლაძემ.

რა ბედი ელის სადაზღვევო კომპანიას, ჯერ უცნობია, თუმცა წინასწარი მონაცემებით, მხოლოდ ქამრების შემოჭერის პოლიტიკა შესაძლოა, მაინცდამაინც იმედისმომცემი არ აღმოჩნდეს და გარე ინვესტიციების ჩართვა გახდეს საჭირო.

ზოგადად, სადაზღვევო კომპანიების დავალიანებები საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება, მაგალითად თუ ღუდუშაურის კლინიკის მიმართ „არქიმედეს“ ვალი – 1696 879 ლარს შეადგენს, მას თითქმის ერთი მილიონი ლარით – 626 775 ლარით ჩამორჩება „აისი ჯგუფი“; „ალდაგს“ – ღუდუშაურის კლინიკისთვის 105 113 ლარი აქვს გადასახდელი, „ჯეო ჰოსპიტალს“ – 491 659 ლარი, „ჯიპიაი ჰოლდინგს“ – 16 654 ლარი, „ირაოს“ – 2 429 ლარი, „ჩემი ოჯახის კლინიკას“ – 92 158, „ალფას“ კი ღუდუშაურის კლინიკის მიმართ – 97 855 ლარი აქვს დასაფარი.

სადაზღვევო კომპანიების მძიმე მდგომარეობა ზოგიერთმა მედიასაშუალებამ ხელისუფლების საწინააღმდეგო პიარად გამოიყენა და მედიაში გაჟღერებული შეფასებების თანახმად, ხელისუფლება „არქიმედეს“ სახით ებრაელ ბიზნესმენებს უქმნის პრობლემას. დაახლოებით მსგავსი შეფასებები გაკეთდა ცოტა ხნის წინ თურქი ბიზნესმენების მიმართაც, თუმცა არსებული ინფორმაციის თანახმად, ბიზნესმენთა გარკვეული ჯგუფი გაფრთხილებების მიუხედავად, დავალიანებების დაფარვას არ ჩქარობს, სახელმწიფოს მხრიდან გატარებული ღონისძიებები კი ბიზნესზე ზეწოლად ფასდება.

„არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ დაახლოებით 70 კლინიკის მიმართ აქვს დავალიანებები და ეს თანხა მთლიანობაში 12 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს.

მართალია, ჯანდაცვის მინისტრი ამბობს, რომ სირთულის მიუხედავად, პრობლემას მოევლება, გაუგებარია ზოგიერთი კომპანიის პოზიცია – თუ საკუთარ ფინანსურ მდგომარეობას გაურკვეველი პოლიტიკური თამაშებისთვის სასწორზე აგდებს, ასეთ შემთხვევაში, შედეგების პროგნოზირება საკმაოდ გართულდება.

ჯერ კიდევ ერთი წლის წინ საქართველოში არსებული ყველა ბიზნესი ხელისუფლებასა და პოლიტიკასთან ასოცირდებოდა, შესაძლოა, ეს პროცესები კვლავ ინერციით გრძელდება, ყოველ შემთხვევაში იქამდე, ვიდრე ბიზნესი პოლიტიკური სტაბილურობის შეგრძნებას გაითავისებს.

სენაკში, სასწრაფო დახმარებისა და დევნილთა პოლიკლინიკის ექიმები „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ სახელფასო დავალიანების დაფარვას სთხოვენ. ექიმების განცხადებით, უკვე რამდენიმე თვეა მათ კუთვნილი ხელფასები არ აუღიათ.

ექიმები განმარტავენ, რომ სახელმწიფოსგან დაფინანსების პრობლემა არ აქვთ, თუმცა „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ ნაკისრ ვალდებულებას არ ასრულებს. ექიმები, მათი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, საპროტესტო აქციებით იმუქრებიან. თუმცა, რამდენად უშველის პროტესტი ექიმების გაჭირვებას, ძნელი სათქმელია.

ზოგადად, ექიმების ხელფასების საკითხი განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა პრობლემური, რაც სამედიცინო დაწესებულებების უმეტესობა სადაზღვევო კომპანიების ხელში გადავიდა, ხოლო საყოველთაო დაზღვევის ამოქმედებამ ექიმებს მორიგი თავსატეხი გაუჩინა. მათი უმრავლესობა ისედაც მიზერული ხელფასის დროულად აღებასაც ვერ ახერხებს.

ისანი-სამგორის რაიონის ერთ-ერთი პოლიკლინიკის ექიმი ამბობს, რომ სადაზღვევო კომპანიებთან თანამშრომლობის შემდეგ 150 ლარზე უწევს მუშაობა, რის გამოც ხშირად გზის ფულიც კი აღარ რჩება. დღეს თითქმის ყველა პოლიკლინიკის ექიმი ანალოგიურ მდგომარეობაშია.

პოლიტიკური პარტიებისა და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები ეჭვობენ, რომ ეს ხდება ხელოვნურად, რათა სადაზღვევო კომპანიებმა სამედიცინო დაწესებულებები მთლიანად ჩაიგდონ ხელში.

მარიამ თოდაძე

◎ ალიან-ჩალიანი

არ არის გამორიცხული სოსო პავლიაშვილიც დაიკითხოს

გამორცხულია არა არის, რომ ბიზნესმენ ავთანდილ ადუაშვილის მკვლელობის საქმეზე რუსეთში მცხოვრები ქართველი მომღერალი სოსო პავლიაშვილი დაიკითხოს, – ამის შესახებ პროკურორმა ნინო აღლემაშვილმა განაცხადა.

პროკურორმა აღნიშნული განცხადებით უპასუხა პროცესზე დასკვნითი სიტყვით წარმოთქმისას დაცვის მხარის შეკითხვას, თუკი მოწმეები პირველად შემკვეთად სოსო პავლიაშვილს ასახელებენ, რატომ არ ზის ის საბრალდებო სკამზე.

– სოსო პავლიაშვილი არ არის ბრალდებული და ამის შესახებ ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არის გარკვეული ვარაუდები იმის შესახებ რომ რეალურად მას დანაშაულთან კავშირი აქვს, ჩვენ არ გვაქვს პირდაპირ მტკიცებულებები, რომელიც საჭიროა ბრალის წარსადგენად. რაც შეეხება პავლიაშვილს, ამასთან დაკავშირებით, მიმდინარეობს გამოძიება, ცალკე წარმოებად გამოყოფილ სისხლის სამართლის საქმეზე და პროცესის დასრულების შემდეგ მოხდება იმ საქმის ინტენსიური გამოძიების გაგრძელება, რომლის დროსაც არ არის გამორიცხული, რომ პავლიაშვილი დაიკითხოს, – განაცხადა პროკურორმა.

მისი თქმით, პროკურატურა უახლოეს პერიოდში პავლიაშვილთან დაკავშირებით ოფიციალურ განცხადებას გაავრცელებს.

სასურველია, ტაქსის მძღოლებმა ინგლისური ენა შეისწავლონ

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ტაქსის მძღოლებისთვის ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე მიღებას აცხადებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს„ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციიდან აცნობეს, ახალი ინიციატივა უცხოელ ტურისტთა გაზრდილ რაოდენობას უკავშირდება.

პროექტის მიზანი სერვისის გაუმჯობესება და მძღოლთა საქმიანობის ხელშეწყობაა.

კურსების წარმატებით გავლის შემთხვევაში გაიცემა სერტიფიკატი და ტაქსზე დასამაგრებელი ნიშნული English Speaking Driver. იმ მძღოლებისთვის, რომლებიც უკვე ფლობენ ინგლისურ ენას, სერტიფიკატი და ტაქსზე დასამაგრებელი ნიშანი გასაუბრების საფუძველზე გაიცემა.

პროექტში მონაწილეობის მსურველი მძღოლები თავიანთი მანქანებით ტურიზმის ადმინისტრაციაში უნდა მივიდნენ, სადაც მათ კუთვნილ ავტომობილს ფოტოსურათით დააფიქსირებენ. მძღოლებმა მართვის მოწმობა და ტაქსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (მანქანის ტექპასპორტი) უნდა წარადგინონ.

ქართველი კრიმინალები დააკავეს

ნორვეგიის პოლიციამ, ბოლო დღეების განმავლობაში, ქართველი კრიმინალების რამდენიმე შეიარაღებული ყაჩაღური ჯგუფი დააკავა, რომლებიც სამხრეთ ნორვეგიაში კომპიუტერებისა და მობილური ტელეფონების მაღაზიებს აყაჩაღებდნენ. ამის შესახებ ნორვეგიული მედია იუწყება.

ნორვეგიული გამოცემა Aftenposten-ის ინფორმაციით, 2010 წლის მარტიდან მოყოლებული დღემდე ნორვეგიას თავშესაფრის მოთხოვნით 183-მა ქართველმა მიმართა, რომელთაგან ამჟამად 66 სხვადასხვა დანაშაულის ჩადენაშია ეჭვმიტანილი ან უკვე დაკავებულია.

გამოცემის ინფორმაციით, 183-ვე ქართველს უარი ეთქვა თავშესაფრის მიცემაზე, თუმცა სანამ მათი მოთხოვნის განხილვა მუშავდებოდა, მათ სხვადასხვა სახის დანაშაული ჩაიდინეს.

აგვისტოს თვეში ქალაქ მიოლდეში ნორვეგიის პოლიციამ ქართველი კრიმინალების სამკაციანი ჯგუფი დააკავა, რომლებიც სამხრეთ ნორვეგიაში ტექნიკის მაღაზიებს აყაჩაღებდნენ.

გამოცემის ინფორმაციით, დაკავებული ქართველები ნორვეგიაში თავშესაფრის მოთხოვნის მიზნით იყვნენ ჩასულები.

ნორვეგიის პოლიციის განმარტებით, ქართველი კრიმინალების ერთი ჯგუფი ორი მამაკაცისგან და ერთი ქალბატონისგან შედგებოდა, რომლებიც ნორვეგიაში ოთხი თვის წინ ჩავიდნენ. პოლიციის ინფორმაციით, ამ ხნის განმავლობაში მათ ნორეგიის 14 სხვადასხვა ქალაქში მდებარე მაღაზიები დააყაჩაღეს. გავრცელებული ინფორმაციით, ივლისში, ოსლოში პოლიციამ ამავე ჯგუფის კიდევ ერთი წევრი დააკავა.

ინტერპრესი

◎ ამნისტია და საზოგადოება

დაგვიანებული რეკომენდაცია

უწყებათაშორისი კომისიამ, შესაძლოა, პრეზიდენტს რეკომენდაციით მიმართოს. საქმე ეხება პრეზიდენტის ინიციატივას, რომლის საფუძველზე იმ პირებს, რომლებმაც ჩადენილი დანაშაულისათვის უკვე მოიხადეს სასჯელი, ნასამართლობასთან დაკავშირებული ყველა შეზღუდვა მოეხსნებათ. იუსტიციის მინისტრის განცხადებით, პრეზიდენტისადმი რეკომენდაცია, შესაძლოა, არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიციის საფუძველზე შემუშავდეს.

„ჩვენ, შევიმუშავეთ არაერთი რეკომენდაცია, მათ შორის შეიძლება იყოს რეკომენდაცია პრეზიდენტისადმი. როგორც ცნობილია, მიხეილ სააკაშვილმა გადაწყვიტა, რომ არის ჰუმანისტი და შეიწყალოს ყველა, ეს, რა თქმა უნდა, კარგია. ნულოვანი ტოლერანტობა და უდანაშაულო ადამიანების ციხეში ჩაყრა იყო ის, რის გამოც ჩვენ წინა ხელისუფლების წინააღმდეგ ვიბრძოდით, მაგრამ არასამთავრობოები ფიქრობენ, რომ ამით მიხეილ სააკაშვილი, შესაძლოა, ადმინისტრაციულ რესურსს იყენებდეს. ამაზე მსჯელობა გაგრძელდება და მოგვიანებით გადაწყდება, შემუშავდება თუ არა მის მიმართ რეკომენდაცია“, - აღნიშნა თეა წულუკიანმა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში კი აცხადებენ, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია, საზოგადოების ათიათასობით წევრს, რომელმაც ჩადენილი დანაშაულისათვის უკვე მოიხადა სასჯელი, მოეხსნას ნასამართლობასთან დაკავშირებული ყველა შეზღუდვა და მიეცეს შანსი, რომ საზოგადოების სრულფასოვან წევრად გააგრძელოს ცხოვრება.

როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აცხადებენ, პრეზიდენტის აღნიშნული გადაწყვეტილება ემსახურება საზოგადოებისათვის ახალი პოზიტიური ბიძგის მიცემას და არ შეიცავს დანაშაულის მატებისა და კრიმინოგენური ვითარების გამწვავების რაიმე სერიოზულ რისკს. შესაბამისად, გაითვალისწინებს თუ არა პრეზიდენტი რეკომენდაციას, რომელიც, შესაძლოა, არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიციის საფუძველზე შემუშავდეს, უცნობია, ვინაიდან ქვეყნის პირველი პირს ახლა არ სცალია — ალპინიზმით არის დაკავებული.

სამართლის ექსპერტი **კახი კახიშვილი** for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ საკანონმდებლო ორგანოს ჰქონდა შესაძლებლობა, მარტივად დაერეგულირებინა ეს საკითხი ისე, რომ ქვეყნის პირველ პირს, მიხეილ სააკაშვილს პიარისთვის არ გამოეყენებინა.

როგორც კახიშვილი ამბობს, ეს არის პიარსვლა მისი მხრიდან. ეს მან გააკეთა არა ბაქრაძისთვის, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატურისთვის, არამედ ეს გააკეთა საკუთარიი თავისთვის. სააკაშვილი გადასულია საკუთარი თავის გადარჩენაზე, მას დღეს არც ბაქრაძე აინტერესებს, არც მერაბიშვილი და არც მთელი მისი გუნდი. სააკაშვილი გამოცდილი პოლიტიკოსია და ძალიან კარგად იცის, რომ 1000 შეწყალების აქტი რომ დაწეროს, ბაქრაძის გაპრეზიდენტება დღეს შეუძლებელია.

სააკაშვილის მთავარი მიზანია აპელირება გააკეთოს ახალი ხელისუფლების უსუსურობაზე და არაკვალიფიციურობაზე. ამავდროულად, იმ ბერკეტების გამოყენებით, რაც მას რეალურად აქვს, ისეთი პოლიტიკა განახორციელოს, რომ ნელ-ნელა, ხალხს დაავიწყოს ის სიხისტე და ამით უთხრას, რომ თითქოს, ის საქმის კურსში არ იყო რაც ხდებოდა ქვეყანაში და რამენაირად, 2-3 წლის შემდეგ შეეძლოს პოლიტიკაში დაბრუნება. სააკაშვილი მეტ-ნაკლებად ცდილობს, რასაც 9 წლის განმავლობაში აშავებდა, რამენაირად ისე შეასწოროს, რომ 2-3 წლის შემდეგ შესაძლებლობა ჰქონდეს დაბრუნდეს პოლიტიკაში. ჩვენ ვხედავთ რა განცხადებასაც აკეთებს, 9 წლის განმავლობაში რაც არ გაუკეთებია, დღეს ყველაფერს ამ ხელისუფლებას აბრალებს. მეორე საკითხია, რომ ეს ხელისუფლებაც აძლევს ამის საშუალებას.

— ამის ბერკეტები ჰქონდა ახალ პარლამენტს?

— ბუნებრივია. ძალიან ვწუხვარ, რომ 11 თვის განმავლობაში საპარლამეტო უმრავლესობას არ მოაფიქრდა, რომ ის ადამიანები, რომლებიც გამოვიდნენ ციხიდან ამნისტიის ან შეწყალების შედეგად, ფაქტობრივად მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას, რომ მიეხედათ საკუთარი თავისთვის და ოჯახისთვის. ვინაიდან მათ ჰქონდათ ნასამართლობის სტატუსი, ეს ურთულებდა მათ სამსახურის დაწყებას. სააკაშვილმა, საკუთარი პოლიტიკური გამოცდილებიდან გამომდინარე, დრო იხელთა და ასეთი ჟესტით წარსდგა საზოგადოების წინაშე. ნებისმიერ ადამიანს ვურჩევ, რომ გამოიყენოს ყველა ბერკეტი, რომ მოეხსნათ ნასამართლობა.

— იუსტიციის მინისტრი თვლის, რომ ეს არაა ჰუმანური აქტი...

— თუ იუსტიციის მინისტრი თვლის, რომ ეს არ იყო ჰუმანური აქტი, მაშინ იუსტიციის მინისტრს შეეძლო თავის დროზე საკანონდებლო ინიციატივით შესულიყო პარლამენტში, რომ საპარლამენტო უმარვლესობას მიეღო ისეთი ნორმატიული აქტი, რომლის შესაბამისად, ამ ადამიანებს ექნებოდათ საშუალება საზოგადოებაში ღირსეულად დაემკვიდრებინათ თავი. კარგი იქნება თუ მთავრობა გააანალიზებს რა სჭირდება საზოგადოებას და დროულად გადადგამს ეფექტურ ნაბიჯებს, რათა საზოგადოებამ მეტ-ნაკლებად იგრძნოს მთავრობის მხარდაჭერა.

ამნისტიის შედეგად უამრავი ადამიანი გამოვიდა გარეთ. ხშირ შემთხვევაში, ადამიანები უმიზეზოდ იხდიდნენ სასჯელს, მაგრამ ამ ადამინებს გრაფაში მითითებული აქვთ, რომ არიან ნასამართლევი, რაც დიდ პრობლემას უქმის მათ დასაქმების კუთხით. საუბარია, ყოფილ პოლიტპატიმრებზე, ადამიანებზე, რომლებიც მანამდე ძალოვან სტრუქტურებში მუშაობდნენ და იმის გამო, რომ ოპოზიციას უჭერდნენ მხარს, ციხეში აღმოჩნდნენ, ვერ იწყებენ მუშაობას, რადგან ნასამართლობა არ აქვთ მოხსნილი. ამაზე რომ დროულად ეფიქრა საპარლამენტო უმრავლესობას, დღეს მიშა სააკაშვილი ამ ბერკეტს ვერ გამოიყენებდა.

— როგორ ფიქრობთ, უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციას გაითვალისწინებს პრეზიდენტი?

— ყველა შემთხვევაში ზარალდებიან ის ადამიანები, ვინც რიგში იდგნენ იმის გამო, რომ მოეხსნათ ეს ნასამართლობა და ეპოვათ სამსახურები. ისინი ზარალდებიან, თორემ სააკაშვილმა თავისი პიარსვლა უკვე გააკეთა, მან გამოთქვა მზადყოფნა ასეთი აქტის გამოქვეყნების თაობაზე, რისი საშუალებაც მისცა უმარვლესობამ. უწყებათაშორისმა კომისიამ რომც გამოსცეს რეკომენდაცია, რომ ეს არ გააკეთოო, ამასაც გამოიყენებს სააკაშვილი თავის პიარზე და იტყვის, რომ მე ამდენ ადამიანს ვუხსნიდი ნასამართლობას, მაგრამ რადგან მთხოვენ, არ გავაკეთებო და ხალხი ისევ გაბრაზდება ახალ მთავრობაზე. ასე რომ, რეკომენდაცია დაგვიანებულია.

თამთა ძარჩავა

◎ განვითარების პერსპექტივები

კეთილდღეობისკენ მიმავალი გზები

ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთი ფორმიდან მეორეზე, მით უმეტეს პრინციპულად განსხვავებულზე გადასვლა უამრავ სირთულესთან დაკავშირებული, ბევრი გარემოების გამო მტკივნეული, ზოგჯერ, სულაც, შოკისმომგვრელი და საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. ჩვენს ქვეყანას საზოგადოებრივი წყობის, ფინანსური და ეკონომიკური სისტემების შეცვლის გზაზე, რომელიც ორ ათეულ წელზე მეტი ხნის წინათ დაიწყო, აუარება სიძნელე შეხვდა, რომელთა გადალახვის პროცესი ამჟამადაც მიმდინარეობს, თუმცა კი, მსგავსი ბარიერების გადალახვა პოსტსაბჭოთა სივრცის უკლებლივ ყველა ახალ სახელმწიფოს მოუხდა. აქედან გამომდინარე, იმის გარკვევა, თუ როგორი იქნება საქართველოს განვითარების გზები უახლოეს მომავალში, როგორ ესახება ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა ხელისუფლებას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამდენად, ვფიქრობთ, რომ ამ მხრივ უაღრესად საგულისხმოა ფინანსთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროების მიერ შემუშავებული საქართველოს ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის სამუშაო ვარიანტი, რომელიც ცოტა ხნის წინათ ფინანსთა მინისტრის მრჩეველთა საბჭოს წარუდგინეს.

საქმე ეხება საქართველოს ეკონომიკური განვითარების არსებით მონახაზს, რომელიც, ძირითადად, პრიორიტეტებს, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის, ადამიანური კაპიტალის განვითარებასა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობას ეხება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველოს პარტნიორი ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ექსპერტული დასკვნებით ნაკლოვანებები, უწინარესად, სწორედ ამ მიმართულებებითაა აღმოსაფხვრელი, რადგან სწორედ

განჭვრეტის ცდა

აქ წარმოშობილი დაბრკოლებები ხელს უშლის დასაქმებისა და პროდუქტიულობის დონის ზრდას, რომელთა დაძლევა 2020 წლისთვის ქვეყნის სტრატეგიული გეგმის მთავარ ამოცანას წარმოადგენს. ამასთან, თითოეულ სეგმენტში თავის მხრივ გამოკვეთილია ის სექტორები, სადაც მთავრობის ჩარევა აუცილებელია.

აღნიშნულია, რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვნადაა შემცირებული საექსპორტო პროდუქციის დივერსიფიკაცია, რაც საფრთხეს უქმნის ეკონომიკურ სტაბილურობას. ქართული პროდუქციის უცხოურ ბაზრებზე გატანას დიდად აფერხებს როგორც სატარიფო, ასევე არასატარიფო ბარიერები, დაბალი ხარისხის გამო მისი არაკონკურენტუნარიანობა. გამოსავალს, დოკუმენტის ავტორები, საექსპორტო საქონლის ხარისხის ამაღლებაში, აგრეთვე ევროკავშირთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებათა მიღწევაში ხედავენ.

ბოლო წლებში **პროდუქტიულობის ზრდას არა საქონლის, არამედ საწარმოო პროცესების ინოვაციურობა განაპირობებს, ამ მხრივ კი საქართველო მსოფლიოში 73-ე ადგილზეა. ამასთან, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ინდექსით 130 ქვეყანას შორის... 129 ადგილზე ვიმყოფებით (?!), რაც ამ მხრივ კარდინალურ ცვლილებათა აუცილებლობაზე მიუთითებს. ამდენად, საწარმოო ინოვაციების დანერგვა ეკონომიკური განვითარების უდავო პრიორიტეტს წარმოადგენს.**

საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, რაც ენერგოშემცველთა ტრანსპორტირების, სატრანზიტო გადაზიდვებისა და კომუნიკაციების მხრივ მეტად მომგებიანია, **ქვეყანა რეგიონში ლოგისტური ცენტრი უნდა გახდეს, თუმცა კი, მსოფლიოში მხოლოდ 77-ე ადგილზე ვართ.** წინსვლის მისაღწევად ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის **ერთ-ერთი პრიორიტეტია სოფლის მეურნეობის განვითარება,** რომელიც მეზობელ ქვეყნებში სუბსიდირებული დარგია, რაც სამამულო პროდუქციის გარე ბაზრებზე გატანას საგრძნობლად აფერხებს მისი არაკონკურენტუნარიანობის გამო.

იხ. 11 გვ.

◎ ალიან-ჩალიანი

საომარი მდგომარეობისას უფლებამოსილებები მთავრობის კომპეტენციაში გადავა

„საომარი მდგომარეობის შესახებ“ კანონი ერთ-ერთია იმ კანონთა შორის, რომელშიც ცვლილებები საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ასამოქმედებელი კონსტიტუციური ნორმებიდან გამომდინარე შედის.

როგორც მოქმედი, ასევე ახალი კონსტიტუციით, საქართველოს პრეზიდენტი ქვეყნის უმაღლეს მთავარსარდლად რჩება და ქვეყნის ტერიტორიაზე საომარი მდგომარეობის გამოცხადების უფლებამოსილება ახლაც და მომავალშიც მისი კომპეტენცია იქნება. ამ მხრივ, კანონში არაფერი იცვლება და ამ პერიოდში მოქმედი პრეზიდენტის აქტები პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას არ საჭიროებენ, თუმცა საომარი მდგომარეობის არსებობისას, გარკვეული უფლებამოსილებების განხორციელება მთავრობის ხელში გადადის.

პარლამენტში ინიცირებული პროექტის თანახმად, უქმდება კანონის მუხლი, რომლის გათვალისწინებით, საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ფუნქციები სახელმწიფოს თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფისა და სახელმწიფო უშიშროების დარგში გადაეცემა პრეზიდენტს — საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლეს მთავარსარდალს. გარდა ამისა, პარლამენტში ინიცირებული პროექტის გათვალისწინებით, საომარი მდგომარეობის პერიოდში, ზარალის ანაზღაურებასთან, სალიკვიდაციო ღონისძიებებთან და სხვა საჭირო დახმარებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს პრეზიდენტის ნაცვლად, მთავრობა მიიღებს. კანონპროექტის განხილვა პარლამენტში დაწყებულია.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე თბილისს არ აქვს გეგმები შეუერთდეს ევროპაზიულ კავშირს, თუმცა ასეთი შესაძლებლობა გამორიცხული არ არის სამომავლოდ, იმ შემთხვევისთვის, თუ მთავრობა ევრაზიული კავშირის წევრობას საქართველოსთვის „საინტერესოდ“ მიიჩნევს.

„რაც შეეხება ევრაზიულ კავშირს, მე ყურადღებით ვადევნებ თვალყურს და მას ვსწავლობთ... ამ ეტაპზე ჩვენ არანაირი ოპოზიცია არ გაგვაჩნია, ვინაიდან ჯერჯერობით ვერანაირ პერსპექტივას ვერ ვხედავ, მაგრამ თუ დავინახავთ პერსპექტივას, რომ ჩვენი ქვეყნის სტრატეგიისთვის ეს იქნება საინტერესო, რატომაც არა“, — განაცხადა ივანიშვილმა 4 სექტემბერს პრესკონფერენციაზე.

ოპონენტების რეაქცია

პრემიერის კომენტარებმა ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით ოპოზიციის მწვავე კრიტიკა გამოიწვია. პრეზიდენტის პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა ივანიშვილის განცხადებას „კატასტროფული“, „სკანდალური“, „უპასუხისმგებლო“ და „საქართველოს ინტერესებისთვის მავნე“ უწოდეს. თავიანთ კომენტარებში ოპონენტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საქარველოს მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ უკვე გააკეთა თავისი არჩევანი ქვეყნის ევროინტეგრაციის სასარგებლოდ და რომ პრემიერის „მოუფიქრებელმა“ სიტყვებმა შეიძლება შექმნას გამოუსწორებელი წარმოდგენა დასავლეთში ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებთან დაკავშირებით.

„მსურს ყველას შევახსენო სიცხადე — ევრაზიული კავშირის იდეა არის პუტინის ინსტრუმენტი რუსეთთან მეზობელი ქვეყნების ევროატლანტიკური ინტეგრაციის შენელების, მათი სახელმწიფოებრიობისა და სუვერენიტეტის ჩაშლის, მათი რუსეთის სატელიტებად გადაქცევის მიზნით“, — განაცხადა პრემიერის სიტყვების კომენტირების დროს საქართველოს უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელმა გიორგი ბოკერიამ.

ამავე დროს პარლამენტის დეპუტატმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ გიორგი გაბაშვილმა გამოთქვა იმედი, რომ ივანიშვილის განცხადება ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით არის „რუსეთთან თამაშის“ პოლიტიკის მხოლოდ ნაწილი, რომლის შემოღებაშიც ოპონენტები ბრალს სდებენ ახალ ხელისუფლებას.

„იმედი მაქვს, რომ პრემიერ-მინისტრმა იცრუა, იმედი მაქვს, რომ საქართველოს მთავრობა არ სწავლობს ამის შესაძლებლობას, იმედი მაქვს, რომ ეს შესაძლებლობა არ არის სერიოზული განხილვის სტადიაში, და რომ ეს იყო რუსეთთან თამაშის მორიგი რაუნდი და არა პოლიტიკური განზრახვა“, — განაცხადა გაბაშვილმა 4 სექტემბერს.

„კაპრიზების გარეშე“

შეგახსენებთ, რომ ოპოზიცია არაერთგზის აკრიტიკებდა საქართველოს პრემიერის პოლიტიკას რუსეთთან დაკავშირებით. პრეზიდენტ სააკაშვილის სიტყვებით, „დათმობები“ არ მოგვიტანენ შედეგებს და ამავე დროს ხელს შეუწყობენ საქართველოსადმი დამამცირებელი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელ წრეებში. „არაფერია უფრო პრაგმატული, ვიდრე პოლიტიკა ზეაწეული თავით“, — თქვა სააკაშვილმა ივნისში.

საქართველოს პრემიერი ევრაზიულ კავშირთან ურთიერთობის შესაძლებლობათა შესახებ

თავად პრემიერი არ იზიარებს ამ აზრს და მიაჩნია, რომ მისი მთავრობის დროს საქართველოს და რუსეთის ურთიერთობებმა „მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ“.

„ჩვენ ვისაუბრებთ რუსეთთან ნებისმიერ ფორმატში, ყოველგვარი კაპრიზების გარეშე: ეს — შეიძლება, ეს — არა, — თქვა ივანიშვილმა 4 სექტემბერს პრესკონფერენციაზე. — **ჩვენ უნდა შევეცადოთ, მოვნახოთ ფორმატები და გზები ჩვენს დიდ მეზობელთან ურთიერთობების მოსაგვარებლად და აუცილებლად უნდა აღვადგინოთ ის ურთიერთობანი, რაც საუკუნეების განმავლობაში გვქონდა“,** — შენიშნა საქართველოს პრემიერმა.

მინისტრის განმარტება

განმარტება ივანიშვილის განცხადებასთან დაკავშირებით ევრაზიული კავშირის შესახებ გააკეთა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა მაია ფანჯიკიძემ. „ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ჩვენ თვალყურს ვადევნებთ და ვსწავლობთ ევრაზიულ კავშირს. მინდა განვაცხადო, რომ არა მხოლოდ ჩვენ ვადევნებთ თვალყურს და ვსწავლობთ ევრაზიულ კავშირს, მას სწავლობს მთელი მსოფლიო, და მათ შორის ევროკავშირიც...“, — აღნიშნა ფანჯიკიძემ თავის კომენტარში.

იმავდროულად მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევრაზიული ინტეგრაცია „საქართველოს პოლიტიკის ქვაკუთხედია“, და რომ სწორედ ეს ხაზი არის პრიორიტეტული საქართველოს საგარეო პოლიტიკისთვის.

„ნელში გამართულად“

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ასევე აცნობა, რომ ბიძინა ივანიშვილმა „გამოთქვა სურვილი“ პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ეწვიოს ამერიკის შეერთებულ შტატებს. ამავე დროს, ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ელჩმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს აცნობა, რომ ჯერჯერობით ამასთან დაკავშირებით არაფერი კონკრეტულად არ არის დაგეგმილი, ვინაიდან უახლოეს მომავალში ეს ვიზიტი, ალბათ, არ შედგება.

4 სექტემბერს პრესკონფერენციაზე ივანიშვილმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მისი ვიზიტის გადადების მიზეზი გახდა ის, რომ მას „სურდა ჩასულიყო საქართველოს ყველაზე დიდ პარტნიორთან წელში გამართული“.

თავის მხრივ, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი არაერთგზის აკრიტიკებდა პრემიერის პოზიციას საზღვარგარეთის ვიზიტებთან დაკავშირებით, აცხადებდა, რომ ივანიშვილის გამო „საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებში ვაკუუმი გაუჩნდა“.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

ჩილელმა მოსამართლეებმა აუგუსტო პინოჩეტის დიქტატურის მსხვერპლთა ნათესავების წინაშე ბოდიში მოიხადეს

მოსამართლეთა ეროვნულმა ასოციაციამ აღიარა, რომ პინოჩეტის მმართველობის დროს მოსამართლეებმა შეწყვიტეს თავიანთი ვალდებულებების შესრულება. კერძოდ, მათ უარი უთხრეს დაკარგული ან დახოცილი ადამიანების მახლობლებს დაახლოებით ნ ათას სარჩელზე. განცხადება გაჟღერდა იმ სამხედრო გადატრიალების 40 წლისთავამდე ერთი კვირით ადრე, რომელმაც პინოჩეტი ხელისუფლებაში მოიყვანა.

* * *

ობამას კონგრესში სირიის საკითხზე სირთულეებს უწინასწარმეტყველებენ: დაბრკოლებას უძმნიან პრეზიდენტის თანაპარტიელები

ბევრი კონგრესმენი დემოკრატების რიცხვიდან ეჭვს გამოთქვამს ძალოვანი აქციის აუცილებლობასთან დაკავშირებით. ისინი განმარტავენ, რომ მოუწევთ რთული არჩევნის გაკეთება: „ან უარი თქვან პრეზიდენტის მხარდაჭერაზე, რომელიც პოპულარობით და პატივით სარგებლობს მათ წრეებში ან, დახუჭონ თვალი საკუთარი ამომრჩევლების აზრზე, რომელთა უმრავლესობაც გამოდის ამერიკის ახალი სამხედრო ინტერვენციის წინააღმდეგ.

* * *

რუსეთის იმიჯი მსოფლიოში გაუარესდა: სახელმწიფო დუმაში საბოლოოდ უსიმართლობა ღირებულებათა სხვაობით ახსნეს

ყველაზე მეტად რუსეთი არ უყვართ ისრაელში (77 პროცენტი), იორდანიაში (70 პროცენტი), თურქეთში (66 პროცენტი), საფრანგეთში, იაპონიაში, ეგვიპტეში (64 პროცენტი თითოეულში) და გერმანიაში (60 პროცენტი). ამერიკის შეერთებულ შტატებში რუსეთისადმი უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავს 43 პროცენტი. უპირატესად პოზიტიური აზრი რუსეთის შესახებ შეინიშნება მხოლოდ საბერძნეთში (დადებითი გამოხმაურების 63 პროცენტი) და სამხრეთ კორეაში (53 პროცენტი).

* * *

კანადა ოქტომბერში დაიწყებს სამხედრო ინსტრუქტორების გამოყვანას ავღანეთიდან

გენერალ-მაიორ დიმ მინლერის სიტყვებით, რომელიც სარდლობს ამ კონტინგენტს — 950 ჯარისკაცისა და ოფიცრის შემადგენლობით, „2014 წლის მარტის ბოლოს, როდესაც მისია უნდა დამთავრდეს, ავღანეთში დარჩება ასზე ნაკლები ოდენობის ინსტრუქტორი.

საქართველომ ელჩები შეკრიბა

ქვეყნის ახალი და ძველი ხელისუფლება შეთანხმდნენ პრიორიტეტებთან დაკავშირებით, მაგრამ გაითიშნენ, როდესაც საკითხი ელჩებს შეეხო

თბილისში **დამთავრდა საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს ელჩებისა და წარმომადგენლობათა ხელმძღვანელების ყოველწლიური თათბირი. მასზე პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ქვეყნის ძირითადი საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტები ნატოსა და ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით უცვლელი რჩება. დავები კი თათბირზე გაჩნდა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სურვილის უქონლობასთან დაკავშირებით, დაამტკიცოს ზოგიერთ საკვანძო ქვეყანაში ელჩები.**

ის, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიზანი — ნატოში შესვლა და ევროკავშირთან დაახლოებაა, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, როდესაც ხსნიდა ელჩების ყოველწლიურ თათბირს. „ევროატლანტიკური ინტეგრაცია საერთაშორისო არენაზე ჩვენს ძალისხმევათა ქვაკუთხედია, ვინაიდან მხოლოდ ასე შევძლებთ ავაშენოთ ჭეშმარიტი დემოკრატია და უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება“, — დაარწმუნა შეკრებილები პრემიერმა.

ბატონმა ივანიშვილმა უახლოესი დროის ძირითადი დიპლომატიური ამოცანა უწოდა „ევრვოკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ზონის შესახებ შეთანხმების პარაფირებას, როგორც ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ნაწილს. ამით მან აღიარა, რომ ევროკავშირის ვილნიუსის სამიტის მსვლელობის დროს, საქართველოს, უკრაინისგან განხვავებით შეუძლია იქონიოს მხოლოდ პარაფირების, მაგრამ ამ დოკუმენტებზე არა ხელმოწერის იმედი.

ელჩების ამჟამინდელი თათბირი იყო პირველი ქვეყანაში შარშანდელი პარლამენტის არჩევნებისა და ხელისუფლების შეცვლის შემდეგ. ამიტომ დიპლომატები, რომლებიც წარმოადგენდნენ ახალ სახელისუფლებო გუნდს, უკვე აშკარად აკრიტიკებდნენ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. მაგრამ არა საგარეო პოლიტიკური კურსის გამო, რასაც ისინი ეთანხმებიან, არამედ მისი სურვილის უქონლობის გამო დაამტკიცოს ელჩები მთელ რიგ საკვანძო ქვეყნებში, მათ შორის გერმანიაში, დიდ ბრიტანეთსა და ჩინეთში. მიხეილ სააკაშვილი ასევე აყოვნებდა დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ხელმძღვანელების დანიშვნას ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთსა და ნატოში, მაგრამ მას მოუწია წასულიყო დათმობაზე დასავლეთის ზემოქმედების შემდეგ. თუმცა, თედო ჯაფარიძე (საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ წარდგენილია ბრიტანეთის ელჩად), დავით აფციაური (ჩინეთი) და ლადო ჭანტურია (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) პრეზიდენტისთვის იმდენად მიუღებლები აღმოჩნდნენ, რომ საქმეს ვერანაირმა მოლაპარაკებამ ვერ უშველა.

თავად ელჩობის კანდიდატები, აგრეთვე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე სახელმწიფოს მეთაურის ამგვარ სიჯიუტეს „სრულიად მიუღებელს“ უწოდებენ. „ამჟამად ჩვენ ამ ქვეყნებში გვყავს მხოლოდ ელჩობის მოვალეობათა შემსრულებლები. მაგრამ ასეთ რანგში მათთვის ძნელია მოაწყონ უმაღლესი დონის შეხვედრები“, — აღშფოთებას გამოთქვამდა ქალბატონი ფანჯიკიძე.

მაგრამ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ანდრო ბარნოვმა შექმნილ სიტუაციაზე პასუხისმგებლობა მთავრობის წევრებსა და პრემიერს დააკისრა.

Коммерсантъ

◎ კავშირები

აფხაზები ბათუმსა და თბილისს სტუმრობენ და ქართულ რესტორნებშიც დადიან

„აფხაზები დაშინებულები არიან რუსული კრიმინალური ბიზნესით. პირად საუბრებში აფხაზების პოზიცია არაერთგვაროვანია, ბევრი არ არის აგრესიულად განწყობილი ქართველების წინააღმდეგ. ქართულ რესტორნებში, რომელიც ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარეობს, ხშირად წააწყდებით აფხაზებს“, – ამ განცხადებას ცნობილი რუსი ჟურნალისტი და რუსეთის პრეზიდენტის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში მაქსიმ შევჩენკო აკეთებს.

მისი თქმით, ბევრი აფხაზი სამკურნალოდ ქუთაისში ჩადის, სტუმრობენ თბილისსა და ბათუმს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ზიზღი არ არსებობს. გარდა ამისა, აფხაზებს კარგად ესმით ყველა ის მანკიერება, რომელიც რუსულ კრიმინალურ ბიზნესს ახლავს და მზად არიან, საქართველოსთან დიალოგი ჰუმანიტარული პრობლემების მოგვარებით დაიწყონ.

მაქსიმ შევჩენკოს პოზიციას იზიარებს რუსეთის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის ანალიტიკოსი ალექსანდრე სკაკოვი, რომელიც მიიჩნევს, რომ რუსეთსა და აფხაზეთს ურთიერთობა გაუფუჭდათ და ეს ურთიერთობა რთულ ეტაპზეა.

სწორედ ამის სიმპტომად მიიჩნევს მკვლევარი რუსეთის მიერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის აღიარების მე-5 წლისთავის აღსანიშნავად ბიჭვინთაში ჩასული ვლადიმერ პუტინის აფხაზეთიდან სწრაფი წასვლის ფაქტს.

„აშკარაა ურთიერთობების გაუარესების ტენდენცია. ამაზე მეტყველებს ალექსანდრე ანქვაბთან შეხვედრის შემდეგ ბიჭვინთიდან პუტინის სასწრაფო წამოსვლაც. პუტინი რომ დარჩენილიყო დღესასწაულზე, ეს ეჭვი არ იარსებებდა“, — აცხადებს რუსულ მედიასთან ინტერვიუში სკაკოვი.

მისივე მონაცემებით, აფხაზეთის ხელმძღვანელობაში სერიოზული უკმაყოფილებაა რუსეთიდან დაფინანსების დაგვიანების გამო, რაც ახალგამომცხვარი რესპუბლიკის მთავრობისადმი მოსახლეობის უნდობლობას აღვივებს.

აფხაზეთის მთავრობა, ასევე, უკმაყოფილოა რუსეთისა და საქართველოს დაახლოებით, რაც რუსეთში ქართული ღვინისა და მინერალური წყლის შეტანაში გამოიხატა. ამდენად, მოსკოვისა და თბილისის პარტნიორობის შემდგომმა გაღრმავებამ, შესაძლოა, აფხაზეთი რუსეთთან მიმართებაში, პოლიტიკური პოზიციის დასუსტებამდე მიიყვანოს.

სინამდვილეში, რა ეტაპზეა მოსკოვისა და სოხუმის ურთიერთობა?!

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა For.ge-სთან საუბარში ეთანხმება იმ აზრს, რომ მოსალოდნელია რუსეთსა და აფხაზეთს შორის რღვევის პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდეს, რადგან თანდათან აფხაზთა რაოდენობა ყველაზე მცირეა იმ ტერიტორიაზე და კიდევ უფრო მეტად შემცირდება. ამიტომ ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება გაიზრდება. თუმცა გია გვაზავა წუხს, რომ, საუბედუროდ, დღეს აფხაზი ელიტა და აფხაზი ხალხი სხვადასხვა ცნებაა და საეჭვოა, აფხაზებს ვინმე რამეს ეკითხებოდეს.

მისი თქმით, ის ფაქტი, რომ **აფხაზები სტუმრობენ ბათუმსა და თბილისს და კიდევ უფრო მეტი აფხაზი გვსტუმრობდა მანამდე, სანამ სრულად ჩაიკეტებოდა ე.წ. საზღვარი, გასაკვირი არ არის. პირადად მას თბილისში სამკურნალოდ ჩამოსული აფხაზი მეომრებიც უნახავს, ასევე, ბიზნესმენი ქალბატონები ჩამოდიოდნენ, რომლებსაც ლილოდან მიჰქონდათ საქონელი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები კი დღესაც ჩადის აფხაზეთში და სასურველია, ეს მომავალშიც გაგრძელდეს.**

რაც შეეხება რუსი ანალიტიკოსის ალექსანდრე სკაკოვის მოსაზრებას, რომ **ანქვაბთან შეხვედრის შემდეგ ბიჭვინთიდან პუტინი საეჭვოდ სწრაფად გაემგზავრა და არ დარჩა აფხაზების დღესასწაულზე, გია გვაზავა ამ ფაქტს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს. მისი თქმით, ამის მიზეზი შეიძლება არა მოსკოვისა და სოხუმის დაძაბული ურთიერთობა იყოს, არამედ, უბრალოდ, პუტინს ძალიან ეჩქარებოდა და იმიტომ არ გაჩერდა ბიჭვინთაში...**

„პუტინის ქმედებებს ვერ შევაფასებ. ძნელი ასახსნელია მისი ქმედება. საერთო ჯამში, ნამდვილ პატრიოტ აფხაზს უნდა ესმოდეს, რომ თანდათანობით, მათ ემუქრებათ გარდაუვალი ასიმილაცია. იმასაც უნდა ხვდებოდნენ, რომ ყველაფერი, რაც გათამაშდა, ვითომ აფხაზეთისა და, ზოგადად, აფხაზების გადასარჩენად, სინამდვილეში, იყო ის, რომ ეს მიწა დიდი რუსეთის უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, დაფინანსებასთან დაკავშირებით, აფხაზეთის ბიუჯეტის 60-65% არის რუსული კაპიტალი. ამიტომ იქ მიდის ძალიან დიდი კორუფციული გარიგებები“, — აცხადებს გია გვაზავა.

ამასთან, არ აქვს არანაირი ილუზია, რომ უახლოეს პერიოდში რუსეთი ჩვენსკენ მობრუნდება და დაგვიბრუნებს კუთვნილ ტერიტორიებს. მინერალური წყლისა და ქართული ღვინის შეტანა კარგია, მაგრამ ეს პრობლემის გადამწყვეტი არ არის. ამიტომ კარგი იქნება, თუ ეს ეტაპი მშვიდობიანად დასრულდება და არ შემოგვთავაზებენ აფხაზეთთან ურთიერთობის ისეთ ფორმას, რომელიც საბოლოოდ მის კანონიერ დაკარგვას გამოიწვევს - კონფედერაციის ან კიდევ სხვა რამის სახით.

გია გვაზავას აზრით, **კონფედერაციაზე საუბარი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუკი იქნება ერთი მთავარი პუნქტი, რომ საქართველოს შემადგენლობიდან საქართველოს რეგიონების გამოსვლის თაობაზე რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და არა მარტო კონფლიქტური რეგიონის ტერიტორიაზე. თუ ასეთი შესწორებები იქნება, კიდევ შეიძლება, რაღაცაზე ფიქრი.**

აფხაზეთის უშიშროების ექსმინისტრი, გენერალი ლევან კიკნაძე ადასტურებს, რომ აფხაზეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობა დაიძაბა და გაფუჭდა, რაზეც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ რუსეთმა საგრძნობლად შეუმცირა აფხაზებს დაპირებული თანხები. ამის გამო დიდი უკმაყოფილება გამოითქვა აფხაზურ პარლამენტშიც და მთავრობაშიც. სერიოზული განხილვები დაიწყეს, თუ რატომ ხდებოდა ასე. ზოგიერთმა აფხაზმა ეს დააბრალა სწორედ იმას, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა თანდათან უმჯობესდება. ამიტომაც რუსეთი იმდენ ყურადღებას აფხაზეთს უკვე აღარ მიაქცევს.

რაც შეეხება ბიჭვინთიდან პუტინის სასწრაფოდ გამგზავრებას, ამაში ლევან კიკნაძე განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავს, რადგან პუტინს თუ სურდა ჩვენთვის, ეჩვენებინა, აფხაზებს იმდენ ყურადღებას აღარ ვაქცევო, მაშინ საერთოდ არ ჩავიდოდა ბიჭვინთაში. ანქვაბს სოჭშივე გამოიძახებდა, სადაც ამჟამად ისვენებს, და იქ მიიღებდა აფხაზეთის დე ფაქტო მეთაურს.

ლევან კიკნაძის აზრით, სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ კრემლს უკვე აღარ სურს ამდენი თანხა შევიდეს აფხაზეთში. თანაც, ამ თანხის დიდი ნაწილი, ე.წ. „ატკატების“ სახით ისევ უბრუნდება იმ ჩინოვნიკებს, რომელთა ხელშიც ეს ფული ტრიალებს. კრემლი უკმაყოფილოა ამ ფულის არამიზნობრივი ხარჯვით. ასე რომ, კორუფციული პირამიდა, რომელიც აგებულია კრემლში, ავტომატურად მოქმედებს აფხაზებზე.

„თბილისში აფხაზები მართლაც ჩამოდიან, რამდენიმე ასეთი შეხვედრის უშუალო მონაწილე მეც გახლავართ. აფხაზები ჩადიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეებშიც, ასე ხდებოდა დღემდე და გრძელდება დღესაც. უფრო მეტიც, შეხვედრები აფხაზებსა და ქართველებს შორის მოსკოვშიც ჩვეულებრივი მოვლენაა. სხვათა შორის, არ გაგიკვირდეთ და ეს ურთიერთობები ისე თბილია, რომ გარეშე თვალი ვერც კი წარმოიდგენს, რომ ჩვენ ასეთი დაძაბული ურთიერთობები გვქონდა“, — აცხადებს ლევან კიკნაძე For.ge-სთან საუბარში.

ამის მიუხედავად, მისი თქმით, ჯერჯერობით აფხაზების მხრიდან ქართველებთან ურთიერთობის დათბობა გამოკვეთილ დონეზე არ ჩანს. მართალია, ხანშიშესულ და შუახნის აფხაზებს ქართველების ნოსტალგია აქვთ, მაგრამ აფხაზი ახალგაზრდობა ჩვენკენ არ იხედება. სიმართლე ისაა, რომ აფხაზებს რუსეთიც არ სურთ, მაგრამ იძულებულნი არიან, მათკენ იყურონ, რადგან რუსეთი ინახავს.

ლევან კიკნაძის ინფორმაციით, აფხაზებს ძალიან უნდათ დასავლეთისკენ გაჭრა, დასავლეთთან ინტეგრირება და სულ ამ თემაზე საუბრობენ. სულ ახლახანს, სოხუმის ხალხთა დაცვის მოძრაობის კოორდინატორი ბესლან კობახია ჩასული იყო ევროპაში და ევროპარლამენტის რამდენიმე წარმომადგენელს სთხოვა, როგორმე მოეხდინათ დასავლეთში მათი ინტეგრირება. თუმცა ამ აზრს რუსი არ დაუშვებს.

„აფხაზი დასავლეთისკენ რომ გაიხედავს, მერე ავტომატურად საქართველოსკენაც გამოიხედავს და ეს არ სურს რუსეთს“, — აღნიშნა ლევან კიკნაძემ.

მანანა ნოზაძე

საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულო

ადამიანთა გვარ-სახელები ისტორიის სიღრმიდან იღებენ სათავეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრს,
ბატონ ბიძინა ივანიშვილს,

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარეს, ბატონ დავით უსუფაშვილს

ქართული გვარ-სახელების წარმოშობა-გაფორმება ადრე ფეოდალურ ეპოქას განეკუთვნება.

საქართველოში 25000-ზე მეტი გვარი არსებობს, მათ შორის 150-ზე მეტი მეფეთა, მთავართა, თავადთა, აზნაურთა...

ქართულ გვარ-სახელებს მოვლა-პატრონობა სჭირდება, რამეთუ ქვეყნის კულტურულ საუნჯეს წარმოადგენს, ერის სულიერი და ზნეობრივი ცხოვრების უტყუარი ძეგლია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახალმა პარლამენტმა უნდა შეიტანოს ცვლილებები საქართველოს კანონში სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ და აღადგინოს პასპორტში და პირადობის მოწმობებში გრაფები ეროვნების და მამის სახელის შესახებ.

სახელი, მამის სახელი, გვარი არა მარტო ადამიანის უფლებათა (სამოქალაქო კოდექსის მე-17, მე-18 მ.1 ნაწილი), არამედ ქვეყნის კუთვნილებაა. საქართველოს ყველა მოქალაქის, ყველა ერის სიამაყეა სახელი, მამის სახელი და გვარი. ქართული გვარ-სახელების მატარებელი უნდა იყოს ძირძველი ქართული ეთნოსის წარმომადგენელი და გამომხატველი, ცოცხალი რგოლი საკრალურ ჯაჭვში წარსულიდან აწმყოში და აწმყოდან მომავალში.

ია ბაგრატიონ-მუხრანელი, ირაკლი ბაგრატიონი, გოგი ანდრონიკაშვილი, ელენე აბაშიძე, შოთა ჩხეიძე, ვაჟა აბაშიძე, ზურაბ რატიანი, ზაზა ჩიქოვანი, ზვიად ჯაფარიძე, ლამარა შენგელია, მიხეილ ბაგუნაშვილი, ცოტნე ნაკაშიძე.

ნიკო ბაგრატიონის სახელობის სკოლა-ლიცეუმი

(2013-2014 სასწავლო წელი)

დაარსებულია კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და პატრონატით

ლიცეანტები წარჩინებით აბარებენ საატესტატო და ეროვნულ გამოცდებს, ირიცხებიან საქართველოს და უცხოეთის უმაღლესებში;

გაცვლითი პროგრამები, საერთო პროექტები, მოსწავლეთა სტაჟირება უცხოეთში, პარტნიორული კავშირები საერთაშორისო (აშშ, კანადა, ევროკავშირის ქვეყნები) ასოციაციებსა და გაერთიანებებში; უცხო ენების გაძლიერებული სწავლება კომპაქტურ კლასებში (ინგლისური, რუსული, ბერძნული, ესპანური);

შემოქმედებით-კულტურული ღონისძიებები, საერთაშორისო საზაფხულო ბანაკები (ბაკურიანი, აწყური, მწვანე კონცხი) პროფესიონალ სპეციალისტთა ხელმძღვანელობით;

სკოლა-ლიცეუმს ყავს მოძღვარი. დამკვიდრდა სახარების, „ვეფხისტყაოსნის“, კატეხიზმოს პროგრამები;

I-VI კლასებში წლიურ გადასახადში შედის კვება, გაკვეთილების მომზადება, მუშაობის გახანგრძლივებული ჯგუფი 9.00-17.00 სთ;

არსებობს მოსამზადებელი ჯგუფები 3-5 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის;

დამკვიდრდა ქორეოგრაფიული ანსამბლი „სამეფო გვირგვინი“, მგალობელთა გუნდი, სამხატვრო და სამუსიკო სტუდიები...

მის: თბილისი, 0160, ბუდაპეშტის ქ. №1/პეკინის 42, ტელ: 2 38 01 24; 599 42 30 11; 577 101 107.

სკოლა-ლიცეუმი აცხადებს მიღებას ჩინურ ორთაბრძოლა „ვუ შუ ჰუნგ გარ კუნგ ფუს“ სექციაში

მსურველთა წლოვანება შეუზღუდავია. სექციაში დაეუფლებით სხვადასხვა საბრძოლო იარაღის გამოყენებას, გამოიმუშავებთ სწრაფი აზროვნების უნარსა და ნებისყოფას, გაიუმჯობესებთ ჯანმრთელობასა და ფიზიკურ ფორმას.

წარმატებული სპორტსმენები შეირჩევიან „ვუ შუ ჰუნგ გარ კუნგ ფუს“ ფედერაციის ნაკრებში და მიენიჭებათ მწვრთნელის კვალიფიკაცია.

◎ კალათბურთი

ბრძოლას მთელი გუნდი იგებს

(პირველი გვერდიდან)

სტატისტიკაც მოწმობს, რომ მრისხანე მეტოქეს არასრულფასოვანი სათადარიგოთა სკამით ვებრძოდით, ამიტომ ის, რაც ცელიეს სპორტის სასახლეში მოხდა, „ჯვაროსნებს“ აქტივში უნდა ჩავუთვალოთ.

რადგან ზემოთ სტატისტიკა ვახსენეთ, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ბალკანელებმა პირწმინდად მოგვიგეს ჩვენივე ფარი, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა. რაც შეეხება საჯარიმოების ზუსტად ტყორცნის დაბალ პროცენტს, იგი ჩვენი გუნდის აქილევსის ქუსლია წლების განმავლობაში და ამიტომ, მოდით, ამჯერად აქ დავსვათ წერტილი.

მართალია, გუშინ დაუვიწყარი მატჩი ჩაატარეს ცინცაძემ და ჰიკმანმა, მაგრამ მოულოდნელად გაგვაწბილა მარკოიშვილმა. ვინ იცის, იქნებ სწორედ მისი უჩვეულოდ მწირი პირადი მონაგრის ბრალიცაა ასეთი საინფარქტო დასასრული?

დღეს სლოვენიაში დასვენების დღეა, ხოლო ხვალ მძიმე გამოცდა გველის მასპინძლებთან.

გია პლატონიშვილი

◎ მოვლენის წინ

თემურ ქეცბაია:

რომ გითხრათ, საფრანგეთთან, სულ შეტევაში ვიქნებით, მოგატყუებთ

რომ გითხრათ, საფრანგეთთან შემტევ ფეხბურთს ვითამაშებთ და სულ შეტევაში ვიქნებით, მოგატყუებთ, — ამის შესახებ საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ საფრანგეთთან მატჩისწინა პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისივე თქმით, საქართველოს ნაკრები შეეცდება დაცვაში ითამაშოს და „შანსს დაელოდოს“.

„ვეცდებით, რაც შეიძლება ორგანიზებულად ვითამაშოთ. ვხვდებით მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს და ეს არც ისე ადვილია. მთავარია, დაცვაში არ დავუშვათ შეცდომა და ჩვენს შანსს დაველოდოთ“, — განაცხადა ქეცბაიამ.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრების შემადგენლობას, ქეცბაიას განცხადებით, საქართველოს ნაკრები საფრანგეთის წინააღმდეგ ოპტიმალური შემადგენლობით გამოვა.

„ახლა ჩვენი გუნდისთვის კარგი პერიოდი არ არის. ამდენი წაგებული თამაშის მერე ძნელია, როდესაც საფრანგეთის წინააღმდეგ თამაშობ, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ სასურველ შედეგს მივაღწიოთ“, — აღნიშნა თემურ ქეცბაიამ.

მისივე თქმით, საქართველოს ნაკრებს შანსი აქვს ამ ურთულეს ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავოს. როგორც საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი აცხადებს, ჯგუფში მესამე ადგილის დაკავება ძალიან კარგი შესაძლებლობაა, რომ ნაკრები მომავალი შესარჩევი ტურნირისთვის უფრო კარგად მოემზადოს.

„ყველაფერს გავაკეთებთ ამ შედეგის მისაღწევად. დიდი ხანია თბილისში არ გვითამაშია. იმედი მაქვს, გულშემატკივარი მოვა, ბიჭებს გაამხნევებენ და ყველა ერთად მივაღწევთ სასურველ შედეგს“, — განაცხადა ქეცბაიამ.

2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მორიგ მატჩს საქართველო დღეს საფრანგეთის წინააღმდეგ გამართავს. ბრძოლა „დინამო არენაზე“ 22 საათზე დაიწება და მას თურქ მსაჯთა ბრიგადა გაუძღვება.

გიორგი ზოთაძე

◎ მშვილდოსნობა

ბათუმში — მეცხრამეტედ

აჭარის დედაქალაქში მეცხრამეტედ გაიმართა მშვილდოსანთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მასპინძლებთან ერთად თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ყაზახეთის 80-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. საქართველოს ნაკრებში ხათუნა ნარიმანიძეს და ასმათ დიასამიძეს არ უასპარეზიათ. ქალებში ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას იცავდნენ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ქრისტინე ესებუა და უკრაინიდან გადმოყვანილი იულია ლობჟანიძე. **ქალებში** ოქროს მედალი სწორედ ლობჟანიძემ (იგი ხელვაჩაურში ცხოვრობს და ვარჯიშობს) მოიპოვა. საკვალიფიკაციო ეტაპზე მან 639 ქულა მოაგროვა. 630 ქულით მეორეზე ყაზახი ელენა ლი გავიდა. პლეი ოფის ფინალში სწორედ ისინი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ლობჟანიძემ 132:126 გაიმარჯვა და პირველობაც მას ერგო. ბრინჯაო აზერბაიჯანელი სვეტლანა სიმონოვას მძლეველმა ქრისტინე ესებუამ დაიმსახურა.

ვაჟებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ტამერლან ბაიგალიევი (ყაზახეთი), 2. ჯაბა მოსეშვილი (ქუთაისი), 3. კონსტანტინ კიმი (ყაზახეთი). **შერეული წყვილები:** 1. ლაშა ფხაკაძე, ქრისტინე ესებუა (თბილისი), 2. მამუკა შუშაძე, იულია ლობჟანიძე (ხელვაჩაური), 3. ტამერლან ბაიგალიევი, ელენა ლი (ყაზახეთი).

ლაშა დიდია

◎ ქართული ჭიდაობა

მსოფლიოს ჩემპიონის სახელობისა

უწინ აქ მარტივი ტიპის ნახერხმოყრილი საჭიდაო იყო, რომელზეც არაერთხელ მოუსინჯავთ მკლავისა და მუხლის ძალა შემდგომში სახელოვან ფალავნებს — შოთა ჩოჩიშვილს, კობა კურტანიძეს, თემურ ხუბულურს, მალხაზ და გელა ბერუაშვილებს. აქ აიდგა ფეხი სამბოში ორგზის მსოფლიოს ჩემპიონმა და საქართველოს ორგზის ფალავანმა ჯემალ მჭედლიშვილმა. ქარელის რაიონის სოფელ ზემო ხვედურეთზე მოგახსენებთ. სწორედ მჭედლიშვილის სახელი მიენიჭა ამ სოფელში ახალგახსნილ საჭიდაო არენას, რადგან იგი აქაურია. ამ ფაქტთან დაკავშირებით ახალ სარბიელზე ორთაბრძოლები გაიმართა ქართულ ჭიდაობაში. გამარჯვებულები და პრიზიორები ოთხ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ:

60 კგ. 1. ლაშა გიუნაშვილი (ქარელი), 2. ლაშა ჩადუნელი (ხაშური), 3. რამაზ გუგულაშვილი (კასპი).

70 კგ. 1. ზურაბ ნოზაძე (ხაშური), 2. ზაზა სიმონიშვილი (ქარელი), 3. შალვა მურაჩაშვილი (გორი).

80 კგ. 1. ზვიად კაპანაძე (ქარელი), 2. ზვიად ბაზანდარაშვილი, 3. გიორგი პაპუნაშვილი (ორივე — გორი).

აბსოლუტური. 1. გიორგი ბოლოთაშვილი (ზემო ხვედურეთი), 2. გიორგი ნოზაძე (ხაშური), 3. უტა კოკაური (ვარიანი).

ლეძსო ცინცაძე

◎ რაგბი

მსოფლიოზე — ახალი ბურთით

2015 წელს მორაგბეთა მსოფლიოს თასი გათამაშდება. იმ შეჯიბრებისთვის რაგბის საერთაშორისო საბჭომ და შეჯიბრების ორგანიზატორმა ინგლისის რაგბის კავშირმა ოფიციალურად ასპარეზობის ახალი ბურთი წარადგინა. ის, ტრადიციულად, ბრიტანულმა კომპანია „ჯილბერტმა“ დაამზადა.

ახალი ბურთი მოთამაშეებთან კონსულტაციის შედეგად შეიქმნა. ბურთის კონტრასტული ფერების მეშვეობით მოთამაშე გადაცემის თუ ფეხით დარტყმისას მას უკეთ ხედავს. კომპანიის ცნობით, ბურთების შეძენა მსოფლიოს თასის ოფიციალურ ინტერნეტ-მაღაზიაში უკვე 23 სექტემბრიდან იქნება შესაძლებელი, გუნდები კი ამ ბურთებს მსოფლიოს თასის გათამაშებამდე ერთი წლით ადრე მოსინჯავენ შესაგებლად.

მსოფლიოს თასისთვის უკეთ მომზადებლად საქართველოს ნაკრები ნოემბრის ტესტებზე სამ მატჩს გამართავს, თუმცა, ჯერ ცნობილი არ არის, სად და რომელ სტადიონებზე. გაისად თებერვალ-მარტში „ბორჯღალოსნები“ ერთა თასის გათამაშების ხუთ მატჩს გამართავენ, რაც მსოფლიოს თასის შესარჩევი ასპარეზობაც იქნება.

ერთა თასი 2014

1 თებერვალი
საქართველო-ბელგია, რუმინეთი-პორტუგალია, ესპანეთი-რუსეთი.

8 თებერვალი
პორტუგალია-საქართველო, რუსეთი-რუმინეთი, ესპანეთი-ბელგია.

22 თებერვალი
საქართველო-რუსეთი, რუმინეთი-ესპანეთი, ბელგია-პორტუგალია.

8 მარტი
ესპანეთი-საქართველო, რუსეთი-პორტუგალია, რუმინეთი-ბელგია.

15 თებერვალი
საქართველო-რუმინეთი, პორტუგალია-ესპანეთი, ბელგია-რუსეთი.

გივი გაგუა

◎ ჩოგბურთი

ნადალი ნახევარფინალში გასკეს შეხვდება

რაფა ნადალმა ამერიკის ღია პირველობის ნახევარფინალში თანამემამულე ტომი რობრედოს იოლი ძლევის შემდეგ გააღწია — 6:0, 6:2, 6:2. 27 წლის მალიორკელმა მასზე 4 წლით უფროსი რობრედოს დამარცხებას საათი და 40 წუთი მოანდომა. ტურნირზე მეორე ნომრად განთესილი რაფა ნახევარფინალში ფრანგ რიშარ გასკეს შეხვდება.

რობრედოსთან დაპირისპირებისას ნადალმა 7 ბრეიკი, 2 ეისი განახორციელა და ურთიერთშეხვედრებში ტომისთან კვლავინდებურად დაუმარცხებელია — რაფამ სამეოთხედფინალე მეტოქეს შვიდივე პირადი დაპირისპირება მოუგო.

გასკეს რაც შეეხება, მან დავიდ ფერერს 6:3, 6:1, 4:6, 2:6, 6:3 სძლია და 1999 წლიდან მოყოლებული პირველი ფრანგი ჩოგბურთელი გახდა, რომელმაც ამერიკის შეერთებული შტატების ღია პირველობის ნახევარფინალში გასვლა მოახერხა. 14 წლის წინათ ფრანგებიდან ამ ეტაპამდე სედრიკ პიოლინმა გააღწია. ნადალისა და გასკეს ურთიერთშეხვედრათა ანგარიში 10:0-ია ესპანელის სასარგებლოდ, თუმცა, ფერერთან მატჩის დასრულების შემდეგ რიშარმა გაიხსენა, რომ ჭაბუკთა ტურნირზე ნადალი 6:7, 6:3, 6:4 ჰყავს დამარცხებული: „იმ დროს მე და რაფა 13 წლისანი ვიყავით. ნადალის თამაში მაშინ პირველად ვნახე. რაფა ყველა ბურთისთვის ბოლომდე იბრძოდა და მეტად აქტიური იყო. მაშინვე მივხვდი, რომ მისგან მაღალი დონის ჩოგბურთელი ჩამოყალიბდებოდა. ნადალის წინააღმდეგ თამაში ურთულესი საქმეა, რასაც ჩვენი შეხვედრების სტატისტიკაც ადასტურებს“.

ვიტალი ჯაფარიძე

„საქართველოს ხალხთა ასამბლეა“ ქართველ ძიუდოისტებს გამარჯვებას ულოცავს

„საქართველოს ხალხთა ასამბლეა“, სენატორთა კლუბ FILA-ს პრეზიდენტი გოჩა ძასოხოვი, ვიცე-პრეზიდენტი რომან რურუა, ფერდინანდ ლორთქიფანიძე და გამგეობის წევრები — დიმიტრი ჯაიანი, ვასილ კადენეცი, რამაზ ყურაშვილი და მერაბ ღუდუშაური საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებს ულოცავენ დიდ გამარჯვებას ბრაზილიაში, რიო-დე-ჟანეიროში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე.

„მსოფლიოს უძლიერეს ძიუდოისტებთან ჭიდილში თქვენ, ჩვენო სახელოვანო ოქროს ბიჭებო, კიდევ ერთხელ დაამტკიცეთ თქვენი სიძლიერე და ვაჟკაცობა! კიდევ ერთხელ გაახარეთ სრულიად საქართველო!

განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ფინალური შერკინება რუსეთის ნაკრებთან, რომელიც ორი მარცხით დავიწყეთ და ტრიუმფით დავამთავრეთ. დღეს თქვენი გამარჯვების გამო, ყველა ქართველის ოჯახში ზეიმია!

„საქართველოს ხალხთა ასამბლეა“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ განვითარების პერსპექტივები

კეთილდღეობისკენ მიმავალი გზები

(მეშვიდე გვერდიდან)

გამოუყენებელი ჰიდროენერგორესურსების მოცულობის, ენერგოწარმოების კონკურენტუნარიანი ფასის მიღწევით და მეზობელი თურქეთის მხრიდან ელექტროენერგიაზე დიდი მოთხოვნის არსებობის გათვალისწინებით, მისი წარმოება მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროდ უნდა იქცეს.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ **მცირე და საშუალო ბიზნესის მომძლავრება-განვითარებისთვის მთავარ დაბრკოლებას არა საქმიანობის წამოწყებასთან დაკავშირებული ბიუროკრატიული ბარიერები წარმოადგენს, რა პრობლემაც წინა ხელისუფლებამ წარმატებით დაძლია, რის გამო საქართველო ამ მხრივ მსოფლიოში ერთ-ერთი სამაგალითო ქვეყანაა, არამედ ბაზარზე მონოპოლისტების არსებობა.** ამას ხელი შეუწყო ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ფაქტობრივმა არარსებობამ, ამდენად თავისუფალი კონკურენციის ხელშეწყობა ასევე ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება.

დოკუმენტის ავტორები დიდ ყურადღებას უთმობენ **ადამიანური კაპიტალის განვითარებას და ამ მხრივ საგანგებოდ გამოყოფენ ბავშვების სკოლამდელი განათლების დიდ მნიშვნელობას, ასევე საშუალო და უმაღლეს სკოლებში განათლების ხარისხის ამაღლების აუცილებლობას.** სამუშაო ძალის კვალიფიკაცია განათლების სისტემის მიერ მოთხოვნებს აშკარად ერთმანეთს აცდენილია, ამდენად ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანა ამ მხრივ თანხვედრის მიღწევაა.

ხაზგასმითაა აღნიშნული ასევე **ახალგაზრდა თაობის დაუსაქმებლობის, გადამზადების სისტემის ფაქტობრივი მოშლის სავალალო შედეგების აღმოფხვრის აუცილებლობა,** რომლის დონე ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე ორჯერ დიდია.

ცალკეა გამოყოფილი ქვეყანაში ჯანდაცვის სფეროში არასათანადო კოორდინირების საკითხი, რაც მკურნალობის უწყვეტობას გადაულახავ ზღუდედ ელობება. ეს კი, თავის მხრივ, სოციალურ ფონზე უარყოფითად აისახება, რადგან მოსახლეობის უმეტესობის შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი სამედიცინო პროცედურებსა და მედიკამენტის შეძენაზე იხარჯება. მოსახლეობის ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება აგრეთვე სურსათისა და ვეტერინარიული ჯანდაცვის დაბალი ხარისხიც.

ხაზგასმითაა აღნიშნული ისიც, რომ **სიღარიბის დაძლევაზე ორიენტირებული სოციალური დახმარების სისტემა მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს** და ამ მიმართულებით ფულადი სახსრების გარდა მისი პარალელური მიმართულებებიც უნდა განვითარდეს, რომლებიც მოსახლეობის უღარიბეს ფენებზე იქნება ორიენტირებული.

საშუალო კლასის მყარად ჩამოსაყალიბებლად **ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის უმნიშვნელოვანესია ფინანსების ხელმისაწვდომობა და, მიუხედავად საკმაოდ გამართული საბანკო სისტემისა, ეს პრობლემა მეწარმეთა წინაშე მაინც დგას.** ამ მხრივ უაღრესად დადებითი როლი სპეციალიზებულმა საინვესტიციო ფონდებმა უნდა შეასრულონ.

ცალკეა გამოყოფილი სამომავლოდ მოსახლეობის ფულადი დანაზოგების საკითხი. კერძოდ, აღნიშნულია, რომ საბანკო დეპოზიტების ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტის მიმართებაში მხოლოდ 30 პროცენტს შეადგენს, რაც არა მარტო ევროპის, არამედ პოსტსაბჭოთა სივრცესა და რეგიონულ მასშტაბებშიც კი ძალიან მცირეა. ამ მხრივ **მისი წილის ზრდა ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის დონესაც აამაღლებს** სავსებით გასაგები მიზეზით: რაც მეტი ფული ექნებათ კომბანკებს დაბალი პროცენტით, მით მეტი სესხის გაცემის საშუალება ექნებათ. მეორე მხრივ, დეპოზიტების დაზღვევის მექანიზმის ამოქმედება მცირე შემოსავლიან ოჯახებს ფინანსური უსაფრთხოების გარკვეულ გარანტიას მისცემს.

ბუნებრივია, რომ აღნიშნულმა დოკუმენტმა ექსპერტების დიდი ყურადღება მიიპყრო, თუმცა კი მისადმი დამოკიდებულება არა თუ ერთგვაროვანი, არამედ საპირისპიროა. ზოგიერთის აზრით, ეს უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელშიც კარგადაა დანახული ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევები და მისი ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები და გზები. ამასთან, ხაზს უსვამენ იმასაც, რომ იგი ეკონომიკურზე მეტად უფრო სოციალურადაა ორიენტირებული. ამდენად, საბოლოოდ, ლაპარაკი უნდა იყოს არა ხარჯვით, არამედ დაგროვებით ასპექტებზე და ამაში მეტი კონკრეტიკა უნდა იყოს ჩადებული. **სხვებს კი მიაჩნიათ, რომ „2020 წლამდე საქართველოს განვითარების სტრატეგიის“ სამუშაო დოკუმენტი შინაარსობრივად შორსაა დასათაურებისგან და ეკონომიკურ-ფინანსური განვითარების სტრატეგიასთან საერთო ბევრი არაფერი აქვს.**

ასეა თუ ისე, ეს სამუშაო დოკუმენტია და, იმედია, როცა საშემოდგომო სესიისთვის მისი საბოლოო ვარიანტი დასრულებულ სახეს მიიღებს, საღ კონკრეტულ შენიშვნებს პარლამენტი უთუოდ გაიზიარებს.

ოთარ ტურაბელიძე

◎ მეტეოდამოკიდებულება

დილაობით თავს ნუ დაიტვირთავთ

მზისა და მაგნიტურ ქარიშხლებს, რომლებიც გულის სისხლძარღვთა დაავადებანი ადამიანების ჯანმრთელობაზე ზემოქმედებს, მეცნიერები ბოლო დროს გულდასმით სწავლობენ. განსაკუთრებულად აქტუალური ეს თემა შემოდგომასა და გაზაფხულზე ხდება ხოლმე, როცა ამინდი ხშირად იცვლება.

გამოკვლევებით ირკვევა, რომ იმ დღეებში, როცა მზის აქტივობა იზრდება, როცა მნათობზე აფეთქებები ხდება, მიოკარდის ინფარქტის შემთხვევათა რიცხვი იზრდება და პიკს მეორე დღეს აღწევს ხოლმე.

მათ, ვინც გულის სისხლძარღვთა დაავადებებს უჩივის, ექიმები თავდაპირველად სპეციალისტის მიერ დანიშნული ჩვეულებრივი პრეპარატების მიღების დაწყებას ურჩევენ მაგნიტური ქარიშხლის დაწყებამდე ერთი დღით ადრე. მათ კი, ვინც წამლებს უწყვეტად სვამს, მაგნიტური ქარიშხლის წინა დღეს მათი დოზის გაზრდას ურჩევენ, ცხადია, სათანადო კონსულტაციის გავლის შემდეგ.

იმ ხალხს, ვინც, ზოგადად, გულს უჩივის, ექიმები, მეტეოდამოკიდებულებასთან დაკავშირებით, რამდენიმე რჩევას აძლევენ.

● ასეთი ადამიანისთვის დილა — დღის ყველაზე სახიფათო დროა: გულის შეტევათა უმრავლესობა სწორედ ამ დროს ხდება ხოლმე. გულის მუშაობის მარეგულირებელი ნერვული სისტემა ჯერ ვერ ასწრებს „აქტიურ“ რეჟიმზე გადართვას და დატვირთვებისადმი მოუმზადებელია. ამიტომ საკუთარ ორგანიზმს თავადვე უნდა დაეხმაროთ. საამისოდ, გაღვიძებისთანავე ლოგინიდან ადგომას ნუ იჩქარებთ, ცოტა ხანს გაუნძრევლად იწექით. შემდეგ შეგიძლიათ, ლოგინზე წამოჯდეთ, ფეხები ჩამოუშვათ და ცოტა ხანს ასე იჯდეთ:

● ეცადეთ დღის მანძილზე გასაკეთებელი საქმეები ისე გაანაწილოთ, რომ აქტივობის მაქსიმუმი დღის შუა ნაწილზე მოდის, ოღონდ არა სადილობის დროზე მიბმული. ამას განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა მომუშავე ხალხისთვის აქვს;

● დილიდან და საღამოსკენ ეცადეთ, იოლი საქმეებით დაკავდეთ. ამ დროს ორგანიზმში არტერიული წნევა ყველაზე მეტად „დახტის“. ამიტომ ამ პროცესის პროვოცირება არ ღირს;

● თუკი დილის ვარჯიში ჩვევად გაქვთ, ეცადეთ იგი დღის მოთელვაში გადაიყვანოთ;

● საღამოობით სასურველია გასეირნება, რაზეც უარის თქმა მძიმე დღეებშიც კი არ ღირს;

● ბუნებრივი ქარიშხლის დღეებში ძალიან მნიშვნელოვანია სწორად კვება, თანაც აუცილებლად ზომიერების დაცვა. საქმე ისაა, რომ მძიმე დღეებში კუჭზე ზედმეტი დატვირთვა გულის შეტევის მიზეზი შეიძლება გახდეს. საკვებით დატვირთული კუჭნაწლავის სისტემა სისხლს „თავისკენ“ ქაჩავს, ამდენად გულმა და თავის ტვინმა შესაძლოა ჟანგბადის უკმარისობა განიცადონ;

● ასეთ დღეებში ეცადეთ წყალზე, ანდა უცხიმო



რძეზე მომზადებული ფაფებით იკვებოთ. თუ ამ დღეს თქვენს რაციონში ხორცია გათვალისწინებული, ცხიმიან ცხვრის ან ღორის ხორცს საქონლის მჭლე ხორცი ამჯობინეთ. კიდევ უკეთესი იქნება, თუკი ხორცს მოხარშული თევზით შეცვლით;

● კარგი იქნება, თუკი დღის რაციონს ჭიქა კეფირით ან მაწვნით დაასრულებთ, რაც დაძინებაში დაგეხმარებათ;

● ასევე მნიშვნელოვანია, რომ მეტეოროლოგიურად მძიმე დღეებში მკურნალი ექიმის ყველა დანიშნულება გულდასმით შეასრულოთ. და კიდევ ერთი რამ: ეცადეთ წამლები დროულად მიიღოთ.

◎ ალიან-ჩალიანი

წნორის სამშობიარო კლინიკაში მშობიარე გარდაიცვალა

გარდაცვლილი ცირა თავართქილაძის ოჯახის წევრები მომხდარში კლინიკის ექიმს გია მოსულიშვილს ადანაშაულებენ.

მათი თქმით, პაციენტს საკეისრო კვეთა 12 საათის განმავლობაში უტარდებოდა, თუმცა ამ ხნის მანძილზე ექიმი მათ არწმუნებდა, რომ პაციენტის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა.

ექიმის გია მოსულიშვილის განცხადებით კი, პაციენტის მდგომარეობა მას შემდეგ დამძიმდა, რაც პაციენტს სისხლდენა დაეწყო. მოგვიანებით ოპერაციაში თბილისიდან ჩასული კატასტროფის ბრიგადის მედიკოსებიც ჩაერთვნენ, თუმცა მშობიარეს გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ახალგაზრდა ქალის გარდაცვალების შემდეგ, გარდაცვლილის ოჯახის წევრებმა შენობის ფანჯრები ჩაამტვრიეს, დაამტვრიეს ტექნიკა, და ექიმს ფიზიკურად გაუსწორდნენ. ოჯახი ექიმის უმკაცრესად დასჯას ითხოვს.

რაც შეეხება ახალშობილს, ის ამ დროისთვის წნორის კლინიკაშია მოთავსებული. ბავშვის სიცოცხლეს, ექიმების თქმით, სფრთხე არ ემუქრება.

„მერსედესი“ ზღვის სანაპიროზე გადავარდა

აჭარაში, ბენზეს დასახლებაში ავტომობილი ზღვის სანაპიროზე გადავარდა. მახინჯაური-ბათუმის მიმართულებით მოძრავი „მერსედესის„ მარკის მსუბუქი ავტომობილი ბენზეს ტერიტორიაზე გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ზღვის ნაპირზე გადავარდა . ავტომობილში მყოფი სამი მგზავრი, მათ შორის ორი ქალბატონი და ერთი მამაკაცი, ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში არიან გადაყვანილი. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ხობში ავარიას სამი ადამიანი ემსხვერპლა

ხობში ავტოსაგზაო შემთხვევას სამი ადამიანი ემსხვერპლა. როგორც „ინტერპრესნიუსის„ რეგიონული კორესპონდენტი იუწყება, ერთმანეთს „მიცუბიშისა“ და „ოპელის“ მარკის ავტომობილები შეეჯახნენ.

ავარიის შედეგად ადგილზე დაიღუპა ერთი ადამიანი, ორი კი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

ავარიის გამომწვევ მიზეზებზე გამოძიება მიმდინარეობს.

ინტერპრესი

◎ ფსიქოლოგია

ჟესტების ენა

მისი წყალობით ერთმანეთთან ურთიერთობა აქვთ არა მხოლოდ მათ, ვისაც მეტყველების უნარი აქვთ დაკარგული, არამედ ჩვენც, ყველას. როგორ გავლენას ახდენენ ჟესტები ჩვენს განწყობილებაზე, ქცევაზე და... კარიერაზეც კი?

გვესაუბრება ფსიქოლოგი ტატა წეროძე.

ინფორმაცია უსიტყვოდ

ყველა ჩვენგანი მუდმივად და, შეიძლება, ამას ვერც ვხვდებოდეთ, გადავცემთ ერთმანეთს, გარშემომყოფებს და ვღებულობთ მათგანაც უამრავ ინფორმაციას ჟესტების, მიმიკის, გარკვეული პოზების მეშვეობით. ხშირად ეს ხდება ქვეცნობიერების დონეზე. მაგალითად, როდესაც შორიდან ნაცნობ ან სასიამოვნო ადამიანს დაინახავთ, უღიმით მას, ესალმებით ხელის აწევით. ან, პირიქით, ინსტინქტურად იშვერთ ხელებს წინ, როდესაც რაღაც გემუქრებათ. ასეთი მაგალითები უამრავია. მაგრამ, თურმე, მიმიკისა და ჟესტების დახმარებით შეიძლება მიზანდასახულად იმოქმედო სხვა ადამიანებზე ანდა თავი დაიცვა მათი გავლენისგან.



საიდუმლო ნიშნები

ცნობილია, რომ ჩვენი თვითშეგნება და განწყობილება დამოკიდებულია განცდილ ემოციებზე. შეფის ღიმილისგან შეიძლება „ფრთები შეგესხათ“, მისმა მოღუშულმა სახემ და მოჭმუხნულმა წარბებმა სამუშაო პრობლემების განხილვის დროს ხელქვეითში შეიძლება პიპერტონიის შეტევაც კი გამოიწვიოს. მიმიკა, სხეულის მოძრაობა – ჩვენი ემოციების სარკეა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ იგი მრუდი არ აღმოჩნდეს.

არ ღირს, როდესაც სამსახურში მიმართავთ კოლეგას ან კლიენტს და საკუთარი არგუმენტების დასადასტურებლად კი წინ სწევთ კალამს, ფანქარს – ასეთ ჟესტს აღიქვამენ, როგორც აგრესიის სიგნალს. აი, მაღლა აწეული ხელისგული კი შეჩერების სიგნალის ფუნქციას ასრულებს. აი, თუ შენიშნეთ, რომ თქვენი მოსაუბრე სკამის ზურგისკენ გადაქანდა და თანაც წინ ხელები გადაიჯვარა – ეს მეტყველებს იმის შესახებ, რომ ინტერესი საუბრისადმი მნიშვნელოვნად შესუსტდა. საერთოდ, სამუშაო დიალოგისთვის საუკეთესო პოზაა – თანამოსაუბრისკენ ოდნავ გადმოხრა. გაცილებით მეტ ნდობას თქვენდამი ის იგრძნობს აგრეთვე ეგრეთ წოდებული „სარკესთან თამაშის“ დროს – ესე იგი თუ დროდადრო გაიმეორებთ მის პოზას.

სხვათა შორის, უკანასკნელი ხერხი იდეალურად უდგება ოჯახურ დიალოგებსაც. თუ თქვენი მახლობელი ადამიანი რაღაცის გამო უგუნებოდაა, ეცადეთ უსმინოთ მას თავის ოდნავ გვერდით გადახრით და არა შეშფოთებული, არამედ სახის კეთილი გამომეტყველებით –ეს მხარდაჭერისა და გაგების ნიშანია.

მიმიკებისა და ჟესტების მეშვეობით სწორი უსიტყვო ურთიერთობისთვის მაგალითები უამრავია. მათი ათვისება შეიძლება სპეციალურ კურსებზე, გაკვეთილებზე ფსიქოლოგთან, ან დამოუკიდებლად– ამ თემაზე ბევრი წიგნია გამოცემული. ღირს თუ არა აითვისოთ ჟესტების ენა – თქვენი გადასაწყვეტია. ეს ისევეა, როგორც უცხო ენა: ერთნი სრულყოფენ მას მუდმივად, მიაჩნიათ, რომ უმისოდ შეუძლებელია, სხვები კი დარწმუნებული არიან, რომ ყოველდღიური ცხოვრებისთვის საკმარისია ერთი-ორი ათეული ფრაზაც.

თავისი თავის რეჟისორი

მიმიკებითა და ჟესტებით შეიძლება მართო საკუთარი ემოციებიც. გაიხსენეთ, როდესაც შესანიშნავ გუნებაზე, კარგ ხასიათზე, შინაგან პოზიტიურ განწყობილებაზე ხართ, მხრები გაქვთ სწორად, მსუბუქია თქვენი მიმოსვლა, სახე გიღიმით. და პირიქით: შეკრული შუბლი, მოჭმუხნული წარბები, ჩამოშვებული ტუჩების კიდურები – ეს ყოველივე წამოჭრილი პრობლემების აშკარა მანიშნებელია.

არსებობს სპეციალური ტექნიკა „საკუთარ თავთან“ პროდუქციული დიალოგისთვის.

გელოდებათ მძიმე დღე და დილიდანვე ცუდი განწყობილება გაქვთ? მიდით სარკესთან, დადექით პირდაპირ, ასწიეთ თავი, გაუღიმეთ საკუთარ თავს. რამდენიმე წამი იყავით ასეთ პოზაში. თავს გაცილებით უკეთ და მეტი რწმენით იგრძნობთ.

საერთოდ, ფსიქოლოგები გვირჩევენ, არ შემოვიფარგლოთ „ერთჯერადი ნიმუშებით“, არამედ გამოვიმუშაოთ გარკვეული ჩვევები, რომლებიც გამოგვადგება სამსახურშიც, პირად ცხოვრებაშიც. კარგია, მაგალითად, რეგულარულად ვასრულებდეთ ერთ-ერთ უნივერსალურ ვარჯიშს. მოადუნეთ სახის კუნთები, ოდნავ მაღლა ასწიეთ ტუჩების კიდეები, დადექით სარკის წინ და უყურეთ პირდაპირ თვალებში წარმოსახვით მოსაუბრეს. შემდეგ წარმოთქვით რაიმე ფრაზა. როდესაც ამ ჩვევას ავტომატიზმამდე მიიყვანთ, იგრძნობთ, რომ უფრო გაგიიოლდათ ურთიერთობა გარშემომყოფებთან, გაგიჩნდებათ მეტი რწმენა საკუთარი თავისადმი, ეს რწმენა კი არასდროს არაა ზედმეტი.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაშინგტონი ვაზეყეპიდან

რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს გიგა ბოკერია და მიხეილ სააკაშვილი?

„ალიას“ სანდო წყარომ მოაწოდა ინფორმაცია, რომ მიხეილ სააკაშვილმა გაგიჟების პიკს გასულ კვირას მიაღწია, როდესაც თავისი გარემოცვისთვის გამოუცხადებია, არავინ დამეკონტაქტოს, არავინ დამელაპარაკოს და არავინ მომიკითხოსო. დავით ბაქრაძისთვის კი განუცხადებია, საპრეზიდენტო არჩევნებში ჩემი დახმარების იმედი ნუ გექნება, არ ვაპირებ, რაიმე ფორმით გამოვხატო მხარდაჭერაო. როგორც პეტრე მამრაძე ამბობს, ამჟამად დასავლეთი გიგა ბოკერიას ეკონტაქტება, ბოკერია ახლა წამყვანი ძალაა და, ბუნებრივია, მიშა მასთან უბრად იქნება.

„ალია“

საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობაც შემცირდა და მათი ხელფასიც

უმუშევრობის მაჩვენებელი ისევ იზრდება, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ბოლო 6 თვეში საწარმოებში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა დაახლოებით 5 პროცენტით შემცირდა. თუ 2012 წლის ბოლოს დასაქმებულთა მაჩვენებელი 527828-ს შეადგენდა, 2013 წლის მეორე კვარტალში 503456-მდე ჩამოვიდა. ერთ-ერთი სფერო, სადაც დასაქმებულთა მაჩვენებელი გაიზარდა, სოფლის მეურნეობაა, რასაც ექსპერტები ხელისუფლების მიერ სოფლის მეურნეობაში განხორციელებულ პროგრამას უკავშირებენ. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2013 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით საწარმოებში სულ 503456 ადამიანი იყო დასაქმებული, საიდანაც დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა 484001-ს შეადგენდა, 2012 წლის ბოლოს კი მთლიანად დასაქმებული 527828 ადამიანი იყო, ანუ 25372-ით მეტი, ვიდრე 2013 წლის პირველ კვარტალში, რაც შეეხება დაქირავებით დასაქმებულთა რიცხვს, 2012 წლის ბოლოსთან შედარებით, 2013 წლის მეორე კვარტალში 26857 ადამიანით შემცირდა.

„რეზონანსი“

„ღარიბაშვილმა, ნაცვლიშვილმა და კბილაშვილმა გაუგონარი ძალადობა ჩაიდინეს“

– აღნიშნავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი ღია წერილში, რომლითაც იგი ბიძინა ივანიშვილს მიმართავს.

დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროში ზუსტად იგივე მდგომარეობაა, როგორც სააკაშვილის დროს იყო. ჩემი შეხედულებით პოლიციის ძალადობა სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლის მე-2 ნაწილის ახალი რედაქციით ამოქმედებას უნდა დაებალანსებინა, რათა დაცვას მისცემოდა უფლება, შუამდგომლობით მიემართა სასამართლოსთვის. ამის უფლება კი ადვოკატებს არ აქვს.

„ახალი თაობა“

რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

მთავარი ექიმი შედის მორგში. ხედავს სამი მიცვალებულია და სამივეს სახეზე ღიმილი აღბეჭდვია. ეძახის პათოლოგანატომს:

– რა ხდება აქ, ცირკია თუ მორგი?

– უფროსო, პირველს რომ ხედავთ, ძველი შულერია, შესულა კაზინოში, მთელი ფული წაუგია და უკანასკნელი ჟეტონით ჯეკპოტი არ მოიგო? გამოუტანეს მილიონი და სიხარულისგან გული გაუსკდა. მეორე პატიოსანი მეოჯახე კაცი იყო. მთელი ცხოვრება ცოლისთვის არ უღალატია და სექსით სულ ერთ პოზაში ერთობოდნენ. ერთხელ პორნოფილმს უყურეს. ახალგაზრდობა გაიხსენეს და კმაყოფილმა სექსის დროს დალია სული. აი, ეს მესამე კი სვანია, მეხი დაეცა.

– მერე რაღა აცინებს მაგ საცოდავს?

– რომ განათდა ეგონა სურათს უღებდნენ და გაიღიმა.

* * *

„ეძიმებმა საშინელი დასკვნა გამომიტანეს – შენ მიდრეკილება გაქვს შიზოფრენიისადმიო. ვერც კი წარმომიდგენია, ეს მშვენიერი, სათნო და ვნებიანი ცხოველი ვისთანაც ვუიმაობ, ნუთუ ჩემი ავადმყოფური

წარმოსახვის ნაყოფია?!“ – **„კრაკადილ გენას“** მემუარებიდან ჩებურაშკას შესახებ.

* * *

ცოლი ქმარს რკინიგზის სადგურზე გულაჩუყებული ემშვიდობება. ცრემლებად იღვრებიან – ქმარი ერთვიერიან მივლინებაში მიდის, ცოლი კი მშობლებთან – გურიაში.

მათი შეხვედრა უფრო გამაოგნებელი იყო: ორი დღის შემდეგ ერთმანეთს ანტალიაში შეხვდნენ.

* * *

აბრამი და მოშე ერთმანეთს ხვდებიან.

– მოშე, დაგენაცვლე, ერთი კვირით ასი დოლარი მასესხე და ორასს ჩაგასესხებ. მოშე ჯიბიდან კონვერტს იღებს და აბრამს აწვდის. აბრამი კონვერტს ხსნის და შიგ... პრეზერვატივია.

– ეს რა არის, მოშე?

– აბა, დაგენაცვლე, ტყუილებით მარტო ამის გაბერვა თუ შეგიძლია.

* * *

„მეზობლის ქალმა საღამოს უთოს შეკეთება მთხოვა. რა თქმა უნდა, მივედი და შევუკეთე. ჩემი ეჭვიანი ცოლი ცხვირჩამოშვებული დადის ორი დღეა. სულელს ჰგონია მთელი ღამე უსაქმოდ ვიყავი მეზობელთან“.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერმოვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-36
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე 514 33-33-24